

ს. მოსაია

სიხსნობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 3-4 1940.წ
თბილისი

გამ-გა „კომუნისტი“
ფასი: 2 კან.



22/1 1934
საბჭო
№ 191

ნახ. შიხ. კობეშვილი. ინგლის-საფრანგეთი ცდილობს დააფიქროს ნეიტრალურ სახელმწიფოებს ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, ფინეთის და სხვათა გაკვეთილი და ახალი „გარანტიებით“ ფიქრობს ომში მათს ჩათრევას. გაზეთებიდან

ინფლის-საფრანგეთის ბლოკის მხარეზე გაკანთია საქმეებზე ცნობილ ფირმებსა—

„ა და სახის გუბი.“

ღია წერილი ბრიგანეთის დირექტორებს

კატივცემულთა ჯენტლმენებო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენი ცდა—გადააქციოთ ევროპის ახლანდელი ომი მსოფლიო ომად და ამ ცდების განხორციელების გზაზე მიღწეული ბრწყინვალე შედეგები აღვიძებენ ჩემი ბარდასულთა დეტოთა უამრავ მხიარულ ანეგდოტებს და ხალხის ბრძნულსიტყვაობის დაუვიწყარ ნიმუშებს. თქვენ ცდილობდით, კატივცემულთა ჯენტლმენებო, აღმოსავლეთ ევროპაში და კერძოდ ფინლანდიის მხრით ომის ცეცხლი გაგეჩაღებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თავაჯობდით ცრუ ბარანტიებს უგეცინას, ნორმების და სხვა ნეიტრალურ სახელწოდებებს. გააბრი ყვეთ ფინლანდია... და რით დაშთავრდა თქვენი განზრახული?

სწამებო კითხვაზე პასუხს მოგაწვდით, გვინდა მოგახსენოთ შემდეგი: საქართველოში, და კერძოდ ბარაკანეთში არის ერთი ბიშოპი პატარა მდინარე, რომელიც მალაღობის მთის ქალთიდან მოედინება. ჩვენში ამ მდინარეს ჩაილუჩის წყალს ეძახიან. ამ წყლის თავისებურ ბუნებასთან დაკავშირებით ჩვენში არსებობს ანდაზა: „ჩაილუჩის წყალი დალიაო“. ეს იმას ნიშნავს, რომ—ჩაილუჩის წყალმა წაიღო, დაიღუპაო. ეს კველი ანდაზა მიტოვებოთ მოვიგონეთ, რომ ჩვენმა წითელმა არმიამ დაამსხვრია კარელიის ყელზე თქვენ მიერ მიუვალად მიჩნეული სიმაგრეები, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვარი, დაამყარა მშვიდობიანობა ფინლანდიასთან და ამ რიგად თქვენმა ცდა აღმოსავლეთ და მთელ ევროპაში ომის ცეცხლი დაგვეთოთ, ჩაილუჩის წყალი დალია.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ამ ჯენტლმენური მარცხის შემდეგ თქვენ უფრო მეტი გამაფრებელი შედეგებით ომში ჩაითრიოთ ბალკანეთის სახელმწიფოები, მაგრამ თქვენი ბარანტიის ისტორიულ „სიმტკიცეს“ არ დაივიწყებთ არც ერთი ქვეყანა, რომელიც ბარანტიებს ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ფინლანდიისა და სხვათა ახლოგულ წაისულს, ე. ი. ბაკვეთილებს იმ ქვეყნების, რომლებიც თქვენი ბარანტიების „საღვთო ქალაქი“ იყვნენ დაყრდნობილნი. და, თავიანთი ზედი ბალკანეთის სახელმწიფოებმა თითოევე გადასწყვიტონ, ეს მათი საქმეა. „საქმეა“ წარმოთქვამს უნებლიედ მომავონა, რომ უსაქმური არც თქვენ უნდა იყოთ, კატივცემულთა ჯენტლმენებო! ბარანტი ფართი-ფურთს და ინტრიგების ძველის ხლარტვას, გიჯობთ თქვენს ბანდირულ თავს მიჰხედოთ. წუ ბაკვეთებთან, რომ ინდოეთის მარბალიტი თქვენი მეფის ბვირბვინეზა მოწყებულია, — შესაძლოა გამოვარდეს და სამუდამოდ დაგეპარგოთ. ხომ ბავიგონიანთ ყვავის აგავი:—ყველის ნაჭიკი რომ იწოვო! მელიამ გააბრიყვა, „ყვა-ყვა-ყვას“ ძახილს მოკვება უბედური და ნადავლი პირიდან გაუვარდა. თქვენც გყავთ წამყვებელი კუდა-მელები მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების სახით. მართალია ისინი მხოლოდ მუშების მოტყუებას ცდილობენ, მაგრამ არც თქვენ დაგეყვებათ ხეიკი მათი დაჯარებით: შესაძლებელია „მსოფლიო ომი მიწას“ ყვავსავით ჩხავილმა, ერთი ყველის ნაჭიკის ნაცვლად, ყოველივე ნადავლი—ესე იგი ყველა ახალწინები გამოგაცალდით!

მართალია თქვენს „ბარანტიებს“ ყველი გაუცვდა, მაგრამ მაინც მიწა ერთი დროებითი წარმატებით განუგებოთ: თქვენი „ღვთაებრივი ძალის მქონე ბარანტიებით“ მაინც მოიხიზლა და თქვენს გავლენაში მოექცა ჩვენი მეზობელი თურქეთი, რომელიც თქვენი დახმარებით გაძლიერებულ სამხედრო მზადებას აწარმოებს. წუ ბეჭენებთან, სიბრძნით შემოკვილო ჯენტლმენებო, რომ ეს უკანასკნელი ფაქტი ჩვენ მოლა მასკადინას ცნობილ ანეგდოტს მოგვაგონებს, მას ეწოდება „მოლას მოგზაურობა“:

მოლა მასკადინა სადღაც წახვლას აპირებდა. ვიჩე უკუღმა შეჯდა, კუდი ხელში დაიჭირა და სახკამ მოიგარჯვა. ეს რომ მეზობლებმა დაინახეს შეეკითხნენ:

- მოლა, ვიჩე უკუღმა ზინარა!
- მოლავ, ხომ არ ბავიშდი?
- მოლავ, ჩამოდი, ხომ ხედავ უკუღმა ზინარა?

მათ ბავსთხილვაზე მოლამ წარბის არ შეიხარა და მეზობლებს მდიდურად უპასუხა:


- თქვენ რა იცით მე საით მივდივარა?

მოლას მეზობლების რა მოგახსენოთ და ჩვენ — საბჭოთა კავშირის ხალხებმა კი ძალიან კარგად ვიცით ვინ საით მიდის, ისე კარგად, რომ საჭიროების დროს კვალარეულებს გზასაც ვასწავლით. ბოდიში დიდად კატივცემულთა ჯენტლმენებო, რომ სიტყვა ბავიგონიანთ.

მიიღეთ და სხვა... ნიანგი

ახლი დედანთან სწორია. მედუხა.

სანიანგო კაციონალიზაცია



ჭურღინტრესტის აპარატსა
თავი დაუმშვენებია,
უამრავი სექტორები
შიგნით გაუშენებია.
ყოველ სექტორს მართველი ჰყავს,
ყოველ მმართველს თავის „ზამი“
საქმართველი, მისი თანი,
ინსტრუქტორი ოცდასამი.
ოთახები ხალხს ვერ იტევს,
მუშაობას „ახურებენ“
და სექტორში, ვთქვათ თუნდ „ანი“
ხმაშეწყობით მსახურებენ:

ბუჭუნია,
კუჭუნია,
ჭიბუნია,
ცაცუნია,
ფაცუნია,
მანიკო და
კატუნია,
თიკო,
ნიკო,
მაკო,
ჭიკო“—

ყველა მეგობრები,
მახლობლები და ნათესავეები,
როგორც ერთმანეთის,
აგრეთვე ტრესტის თუ სექტორთა „ზავების“.

ტრესტის გამგეს იშვილაძეს
მისცეს მტკიცე მითითება,
„აპარატში მუქთახორა
ხალხის რიცხვი გიდიდდება,
რადგან რიცხვი სექტორების
ზვიადია ნამეტანი, —
მეტია და უყოყმანოდ
გააუქმე მათში „ანი“
დაგვიღონდა ტრესტის გამგე,
იშვილაძე კოწია,
დაგვიღონდა სექტორ „ანის“
მემანქანე კოპწია.
გრძნობა სძლია იშვილაძემ
იკადრა გარჯა, —
გააუქმა სექტორი ანი
და შტატგარედ დარჩა: —

ბუჭუნია,
კუჭუნია,
ჭიბუნია,
ჭიბუნია,
ცაცუნია,
ფაცუნია,
მანიკო და
კატუნია,
თიკო,
ნიკო,
მაკო,
ჭიკო.

თქვენ არ იცნობთ ტრესტის გამგეს
იშვილაძეს კოწიას:
იგი მიზანს აედევნა
„ბრწყინვალეს და კოპწიას“
„დამოწმა სხვებს და
დამოწმა სხვანი,
რომ ზედმეტი იყო
სექტორი „ანი“.
მაგრამ ტრესტს რომ ქონდეს
მეტი გასაქანი,
ანის ნაკვალად გახსნა
მან სექტორი „მანი“.
კვლავ შეკრიბა გამგემ კადრა
„მუშაობას“ ახურებენ
და კვლავ ტრესტის სექტორ „ბანი“
ხმაშეწყობით მსახურებენ:

ბუჭუნია,
კუჭუნია,
ჭიბუნია,
ჭიბუნია,
ცაცუნია,
ფაცუნია,
მანიკო და
კატუნია,
თიკო,
ნიკო,
მაკო,
ჭიკო.

მოდუნა

უიღლო მსხვერპლი

ზოგიერთი რაიმიწვანი მაოლოდ კომისიების გაგზავნით კმაყოფილდება ადგილებზე საქმის
გამოსასწორებლად.

ნახ. ან. კანდელაკისა.



— შეინდავ, შეი-ნ-დ-ა-ავ! ნეტავ ერთ ხაათსაც კიდევ გეცოცხლო, რომ მეცამეტე კომისიის, მეშვიდე დანაუღვის,
მეოთხე რწმუნებულის გამოგზავნილ მესამე კაცს ცოცხლისათვის მოეხწრო...



მასწენდება რატომღაც ერთი კინტოს ამბავი, და შინდა, რომ ის ლექსად იყოს დანასტამბავი: კინტო ვინმე-ლევანდი, მითილი და ბენტერა, ერთიც ვნახოთ, აიღეს და დანიშნეს ტერტერად, ტანს ოლარო ჩააცვეს—და, ვით ქოთანს ხუფთა, თავზე ჩამოათხატეს მოჭედული სკუფთა.

გახდა რაღა წმინდანი, უნებურად, ძალათა, მიატოვა თაბახი, ისპანახი, სსალათა და შეუდგა „სულუბის სამოთხეში შეყვანას“, მალა „ღმერთს“ ატყუებდა, დაბლა კიდევ—ქვეყანას. შეეჩვიდა საკურთხეპს, ტაბლას, აღაპს, წანდილსა, გახიზინდა, გასუქდა, ჩაჰყვა გულის წადილსა, სთქვა: მე ვარო ამ ქვეყნის მარტილი და ბურჯია, და ერთ თავის ლოცვაში „მამაუფალს“ ურჩია: — „ვაჰ! შენ კი დაგენაცვლე მაგ თივთიკის წვერებში, ჩემმა მზემ მებრალეები ამდენ გაიძვერებში. ეს მახლო ქვეყანა მაკარაკი რამეა: შენ ღამე ესურს—აქ დღეა, შენ დღე გინდა—ღამეა... იცი რა ვქნათ ღმერთოჯან? მოდი, მთელი დუნია სულ ჩემ მრევლად ვახადე, მე მქონდეს ნარგუნია. მეც შენს შტატში ჩამრიცხე, როგორც მოურავია, თუ არ გასიამოვნო, ვიყო ვირისთავია“...

რით გათავდა „უფალთან“ იმ ტერტერას დავობა, მოურავად გახდა თუ შეჩრა ვირისთავობა,— ჩვენ არ ვიცით, (წარსულის ნისლია ჩამარხული), მაგრამ ის კი ბევრს ახსოვს, როგორც ნათქვამ-ნახული,

მლიქვნელის გულუბრყვილობა

ნ.ს. ლონისა



— საჭიროა ხტახანოველ იორდანელს ბინა შევუკეთოთ — საღირებტორო ფონდის სახსრებით.
— როგორ? განა იორდანელი ღირებტორად დანიშნეს?



რომ ცდილობდა მას საქმედ ექცია განზრახული. და რომ მთელი დუნია, და რომ მთელი ქვეყანა საწველ ფურად ექცია, მრევლად გადაყვანა, ხერხს მიმართა, კინტოურს, დაწო გულის ავობა და ყველას შესთავაზა სვინა-ნათლიობა. და აი, ერთხელ, მთვრალმა ნათლიობის ექსტაზი.

მთლად ქაფქაფა მდულარით ვაავსო მან ემბაზი და შიგ მოსანათლავად ჩაწვენილი ზალია გაფუფქულ-მოხარშული ამოიღო—თვალდია. მაგრამ როდი დაიბნა კინტო-გობით ნავალი; წამხდარ იხტიბარისთვის ნახა „გამოსვალი“, შექრიანად მომართა ენა ვრძელი, ჭარტალი, და ტკბილად ამეტყველდა, როგორ ალალ-მართალი: — ეს ყმაწვილი გაფუქდა, სხვა მაიყვით, ბადალი! თავისით იგულისხმეთ აწ ფინალი მწვავია, დასცხეს და მდულარეში უკრეს კინტოს თავია, და გოჭივით გაფუფქეს უფლის მოურავია.

ანეკდოტი ძველია, წარსულში გადასული, ჩვენში მამაუფალიც ტირაუშია გასული, კინტოც მოგონებაა ყარაჩოლულ წარსულის მას, რაღად მაგონდება მისი საქმე თარსული? შახლას, საბაბს ბევრი აქვს ფესვები და შტოები: ვხედავ, ახალ მოდისა გაგვიჩნდნენ კინტოები. კინტოები, და თანაც განა დაბალ მარკისა? განათლებულ ევროპის „მოციქულთა“ დარგისა: ცილინდროსან, ფრაკოსან, ტვინის კოლოფოსნები, გაფხორილი დადიან, როგორც უხცო ფრთოსნები და ამბობენ: ღმერთოჯან, მოდი, მთელი დუნია სულ ჩვენს მრევლად ვავხადოთ, ჩვენ გვყავდეს ნარგუნია. და ცდილობენ „ხალხების“ სამოთხეში შეყვანას, მალა ღმერთს ატყუებენ, დაბლა კიდევ—ქვეყანას. ატყუებენ და თანაც განა დაბალფასურად? არა, ჯენტლემენური ხერხით—თითილბაზურად: წაბლი უყვართ... შემწვარი წაბლი გემრიელია, მაგრამ წაბლი ცეცხლში ძევს, გამოღება ძნელია. მერე, თვითონ შეწუხდნენ? სამართალი სად არი? ჯენტლემენურ თეთრ ხელებს ზომ დაფუფქავს ლადარი! ჰოდა აი, აქ ჩნდება კინტოური ხერხელები— რადარში ჩასაყოფად მოაქვთ სხვისი ხელები, მოაქვთ, აფათურებენ, ლადარი კი ცხელია, პუპუზ, ვნახოთ, დაიწვა ნამოვარი ხელია, დაიწვა, დაიფუფქა ბევრი ბრიყვის მარჯვენა, მაგრამ ნახეთ მისტერმა რა ოინი გვაჩვენა: ჭიხტიბროდ უფიროდ მოსტრა სიტყვა ნათალი— ეს ყმაწვილი გაფუქდა, სხვა მაიყვით ბადალი!

მახლას, არ გავუმართლეთ ბედი ღვთისგან ნაწერი, ცივ ნაცარში ჩაუფდეთ კოფში—ხელში ნაჭერი, ავუტირეთ ნათლულნი—შლიახტები, პანები, ფინელ თეთრგვარდილთა დავუხიეთ პლანები, (მათ სხვაგანაც შეხვრიბეს ბედის მწარე წვენი, — აფსუს ცილინდრ, აფსუს ფრაკ! ლილა ცვდება თქვენია). და თუ კიდევ ჩვენს ბოსტანს ზრახვით მუხანათურით ნამოვარი ხელებით სადმე უწყეს ფათური— იგულისხმონ იმ კინტოს მათ ფინალი მწვავია, ნახონ როგორ ლადარში უყურათ ყველას თავის.

ერთი პატივცემული დაწესებულების მესვეურთა კრებას დავესწარი. ახირებული კამათი იყო იმ კრებაზე.

— მე ვამბობ რომ გაბერილია, — იცავდა თავის აზრს ფეხზე მდგომი მოკამათე.

— არ არის გაბერილი, — არწმუნებდა სავარძელში ჩაფლული თავმჯდომარე.

— გაბერილია.

— გაუბერავია, გარწმუნებთ. მე და ჩემმა მმართველმა შევა- მოწმეთ და დავარწმუნდით, რომ გაუბერავია.

— კატეგორიულად ვაცხადებ, — გაბერილია მეტი. მე ამას ფაქტებით დავამტკიცებ თუ, რა თქმა უნდა, თქვენ ნებას დამრ- თავთ.

— მაშ რას მოითხოვთ?

— მოვითხოვთ დაფუკვას.

— რას?

— დაფუკვას. ბოდიშს ვინძი, მაგრამ დაფუკვა აუცილებელია. თავმჯდომარემ წარბი შეპკრა. ეტყობა, ამ ახირებული ტერმი- ნის გაგონებას არ მოელოდა.

— ასე ზეპირად ლაპარაკი არ შეიძლება ამხანაგო, — გაჯავრე- ბით მოუტკრა მან მოკამათეს, — არ შეიძლება, უნდა დაასაბუთოთ

ქვენი აზრი, —

და როდესაც ორატორი აზრის დასაბუთებას შეუდგა, ჩემთ- ვის მაშინლა გამოირკვა, რომ საკითხი ეხებოდა გაბერილი შტატე- ბის შემცირებას. ამრიგად, სიტყვა „დაფუკვა“ ახალი სახე აღმოჩ- ნდა ტერმინისა: „შტატების შემოკლება“.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთა- ვარი ის არის, რომ ორატორი გუ- ლუბრყვილო აღმოჩნდა. მან ჩამო- თვალა თექვსმეტოდე თანამდებო- ბა, რომლებიც შექმნილი ყოფილა

თურმე იმიტომ, რომ გამგეს თავისი ნათესავ-კეთილები მოეწყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ორატორმა თვით- კრიტიკის წესით იმის თქმაც კი

ინება, რომ თითქოს იმ „შექმნილ“ თანამდებობაზე მოწყობილი პირები უსაქმობაში ატარებენ დროს, დატვირთულნი არ არიან მუ- შაობით, დერეფნებში დადიან. ამით ირღვევა შრომის დისციპლინა და სხვადასხვა.

ასე არ შეიძლება მოქალაქენო: აქო და პირდაპირი ლაპარა- კი გვიყარსო, ზოგიერთი ადგება და ისეთი შტატის დაფუკვაზე დაიწყებს ლაპარაკს, რომელიც გამგის ნათესავ-კეთილებს გაუბე- რიათ. აქ საჭიროა ფაქტს ფესვებიდან შევხედოთ: ხომ არ შეიძ- ლება გამგე ობლად და უთვისტომოდ გრძნობდეს თავს დაწესე- ბულებაში? კაცს გული აქვს, გრძნობა სჭარბობს, უნდა რომ თა- ვისიანებს ხელი მოუშართოს, თვითონაც გაერთოს და ისინიც გა- ართოს.

მაშასადამე, აქ დაფუკვაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ უნდა გამოინახოს საშუალება დაწესებულებაში თავმოყ- რილი ნათესავ-კეთილების სამუშაო საათების დასატვირთავად.

რა არის ამისათვის საჭირო?

ჩვენის აზრით „დასაფუკავი“ მუშაკების საათების დასატვირ- თავად შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი ღონისძიება:

დილით, სამსახურში გამოცხადებისა და აღრიცხვის წიგნში ხე- ლის მოწერის შემდეგ, დაუტვირთავი თანამშრომლები შეიძლება შეგროვდნენ რომელიმე განყოფილებაში და ერთი-მეორეს გაუზიარ- იონ ახალი შთაბეჭდილებები; მაგალითად გამგის მამიდაშვილს შეუძლიან მიმართოს გამგის ქვისლის ბიძაშვილს და უთხრას:

— რას იტყვი, ხომ კაი ქეიფი იყო წუხელი?

— ჩინებული, ღვინოც კარგი იყო ერთობ.

— აა, შენ ყანწები თქვი — რამხელა ყანწები უშოვია ჩვენს პოლიკარბეს.

— კი, კი შენ ნუ მომიკვდე პირდაპირ უნიკუმებია...

და როცა მათი ლაპარაკი მიმდინარე დღის სადილის, ან ვახ- შმის თემად იქცევა, შეიძლება სამანქანოდან ქალების კისკისი და

შემდეგ საქმიანი მუსაიფი მოისმას.

— ბეჩა, რა კაი კოფთა შეგიკვრავს, — კრებ-დე-შინია?

— კრებ-ყოჩეეთია.

— მართლა? — სად იშოვე გენაცვალე?

— იპოლიტემ მიმიწერა — პოლიევკტოსთან. (ეს, იმ შემთხვევა- ში, თუ გამგეს იპოლიტე ჰქვია!).

— ვენაცვალე, კაკოი ონ დუშკა, თანამშრომლებისთვის არა- ფერს ზოგავს.

ამ დროს დერეფანში შეიძლება ორი წყვილი ფეხის ხმა გაის- მას, საქმიანი და აჩქარებული ფეხის ხმა:

— შექალო, ნელა იარე, ბუფეტი გარბის თუ? — შეუძლია უთხრას ერთი წყვილი ფეხის პატრონმა — მეორეწყვილი ფეხის პატრონს.

— არ გარბის, მარა კარიდორში უსაქმოდ სიარული ეგონება ვისმეს.

— მართლა, რავა იცეკვოთ გუშინ?

— უჰ, დაქანცვამდე. ჩინებული ტანცები სცოდნია გრძნად, — მოდი, თუ დაიკო ხარ, დაურეკოთ ტელეფონით, დღეს გამოიაროს ბფსტონის საცეკვაოთ.

ორი წყვილი ფეხის საქმიანი ბაკი-ბუკი აჩქარებით გაემართე- ბა ტელეფონისაკენ, გამოძახილს მოჰყვება მუსაიფი, რა თქმა უნდა, ფრიად საქმიან კილოზე.

ამის შემდეგ დასკენების ზარი დაირეკება.

ზარის შემდეგ კეთილების მუსაიფი, ქალაქების ტარება, ოთახიდან-ოთახში, გამგესთან, საქმეთა მმართველთან, თუ სექტო- რის ხელმძღვანელებთან — შეიძლება ჯგუფ-ჯგუფადაც და კენტ- კენტადაც.

იგულისხმება, რომ ამ ხანებში გამგის კაბინეტთან საქმეზე მოსული ხალხი აცდის, თვით კაბინეტში კი დილიდანვე კრება მიმდინარეობს.

— შემისვით, — ეუბნება მოქალაქე კარებთან ატუზულ შიკრიკს.

— დღეს არ ღებულობს, ხვალ მობრძანდით.

— გუშინაც ასე მითხარი — ხვალ მობრძანდიო — განა ეს სწო- რია?

— მაშ ის იქნება სწორი, რომ „გუშინ მოდი მეტი“ გითხრა? გრამატიკა არ გცოდნია ზიძია...

ამ დროს კაბინეტიდან შრისხანედ რეკავს ზარი. შიკრიკი შერ- ბის, ისევ გამორბის და ბუფეტისაკენ მიუშურება, იქიდან კვლავ მოძუნძულებს — ღიმონადის ბოთლებით ხელში...

— მერე რომელ საბჭოთა კანონში სწერია, რომ სამუშაო საათებში კრებები იმართებოდეს? — აცხადებს კარებთან მომლო- დინეთაგანი. მეორე მოქალაქე.

აი აქ ჩნდება საქმე გამგის მა- შიდაშვილის, გამგის ქვისლისა და გამგის ნათლიიშვილის ჯგუფისათ- ვის. მათ საშუალება ეძლევათ აუხს- ნან ასეთ ახირებულ მოქალაქეს, რომ ეს კრება არ არის უბრალო კრება, რომ იგი ექსტრა-ორდინა- რულია და მასზე ურთულეს-უმნი- შვნელოვანესი საკითხები წყდება...


განმარტება, რასაკვირველია, მჭერბეცველური უნდა იყოს — დიქციით, პაუზებით და საქმიანი გამომეტყველებით. ამასობაში საათი თავის საქმეს აკეთებს, პირნათლად, სინდისიერად მიაბიჯებს თავის გზაზე.

— ტიკ-ტიკ... ტიკ-ტიკ!...“ გაიძახის ის და აი, ნახეთ ტიკ- ტიკში თავდება სამუშაო დროც.

აჭი ვამბობთ, თუ საქმეს ფესვიდან შევხედავთ ცხადი გახ- დება, რომ დაწესებულება არც კი ვარგა ნათესავ-კეთილების გა- რუშე.

ს. ფაშალიშვილი





ფრიად ჰუმანური ხალხია ინგლისელი ლორდები და გრაფები.

ლორდი ჩერჩილი, ჰუმანური. მოსაზრებებით, ურჩევს ინგლისის საპარო ფლოტს, ყუმბარები დაუშინოს გერმანიის ქალაქებს.

— ავალთ თუნდაც ბერლინი ჯენტლმენებო! მიდით, ჩაყარეთ ყუმბარები და წამოდიოთ. აქეთობისას მსუბუქად წამოხვალთ, თუ არ ჩამოგადგეს... ყუმბარები შეიძლება სახლებს მოხვდეს და ქალები და ბავშვები დააზიანოს, მაგრამ რას იზამ, ცივილიზაცია; ჰუმანიზმი მოითხოვს ინგლისის ბატონობის შენარჩუნებას.

ისტორია იცნობს ჯენტლმენებს ჰუმანიზმის მსოფლიო ხასიათს:

როდესაც ჯენტლმენებმა ინდოეთი დაიპყრეს, ინდოელ ფეიქრებს ქსოვილა მოსთხოვეს.

— არ იძლევი? ეს ფასები ხელს არ გაძლევი? მაშ უფასოდ მოგვეციოთ. არც უფასოდ გინდათ? მაშ კარგი, უსასყიდლოდ მაინც დაგვითმეთ!

და ინდოელ ფეიქრებს ტანასამოსს ხდიდნენ, როზგებს სცემდნენ. ქსოვილი მიჰქონდათ.

კარგი პროდუქციაა ბრინჯი. ინგლისელ ჯენტლმენებსაც უყვართ ბრინჯი. რატომაც არა!

მაგრამ სად არის ბრინჯი?

— ინდოეთში, ბენგალიაში. ბენგალელებო, მიართვიოთ ჯენტლმენებს ბრინჯი! ბრინჯის მთელი მოსავალი! თქვენ რაღა ჭამოთ? თუ კი ჯენტლმენები გაძლებიან, თქვენ რაღა გინდათ? არ იძლევი? მაშ პოლასმენებს, გახადეთ, როზგები მოიტანეთ...

ჯენტლმენები დაპყრობას არიან მიჩვეული. ერთერთი დამპყრობელი ჯენტლმენი სერ-ჩარლზ ნეპირი სწერდა:

— ჩვენ არა გვაქვს უფლება დავიპყროთ ინდოეთი? ვინ მოგახსენათ? ჩვენ დავიპყრობთ და ეს იქნება ნამდვილი ჰუმანიზმი.

ჰუმანური შანტაჟი! კაცთმოყვარული დახრჩობა! კაცისკვლა — სათნოების მიზნით! ყუმბარების დაშენა მოსახლეობისათვის — გულმოწყალებას საფუძველზე! ხალხის მოწამვლა გულის აჩუყების გამო!... —

ასეთია ლორდების, ბანკირების, გრაფების, ვიკონტების თეორია და პრაქტიკა.

ამ თვალსაზრისის შედეგი იყო ათი მილიონი ბენგალელის დახოცვა ინგლისელ ჯენტლმენთა მიერ!

ავსტრალია შორეული ქვეყანაა. ჯენტლმენებმა იქითკენაც გაისეირნეს და იმ ქვეყანაში ხალხი ნახეს. ავსტრალიის იქით ტასმანია მდებარეობს. ლორდებს ეს ქვეყნები მოეწონათ, იქაური ხალხი კი — არა. ამიტომ,

ჰუმანურობის ნიდაგზე ამ ხალხის ქლებს შეუდგნენ ქლებდნენ კულტურულად. „კაცთმოყვარეობის“ კულმინაციური სიმაღლეებიდან: თავისი შაქარს ურუდუნენ საკმელში და ავსტრიელებს ეპატიებოდნენ:

— მიერთვით, გეთაყვათ, ყველამ მიერთვით, თქვენთვის განა გვშურს? ჩვენ ისედაც იოლად წავალთ, ოღონდ თქვენ დანაყრდით...

და როდესაც ავსტრიელები მოწამლული კერძის მიღების შემდეგ წამებით იხოცებოდნენ „აკრემლებული“ ჯენტლმენები ამბობდნენ:

— უმადურები! ამდენი ხორაგი შეჭამეს, ფასიც არ გამოგვირთმევიო, ისინი კი გამოუმშვიდობებლად იხოცებიან...

ინგლისელი მწერალი რობერტ ბრიფო თავის წიგნში სწერს:

„უბედური ავსტრალიელები ტასმანიაში მიიყვანეს და საკონცენტრაციო ბანაკებში ჩააშუყვდიეს, სადაც ისინი დაახოცნენ უკანასკნელ კაცამდე. მათ ქლებდნენ, როგორც კურდღლის ბაჭიებს. ეს იყო თავისებური სპორტი: მათ აძლევდნენ თავისი შაქრით მოწამლულ საჭმელს... „და ამის შემდეგ ჯენტლმენები ინგლისის იმპერიალიზმს „ჰუმანიზმისა და სამართლიანობის ფაქტორად“ აცხადებდნენ!...“

როგორც კაცთმოყვარეობის უდიდესი აქტი, ინგლისელმა ლორდებმა, ფრანგ გრაფებთან და მარკიზებთან ერთად, წამოიწყეს პირველი მსოფლიო ომი, ახლა კი — ევროპის ომი.

მაგრამ გერმანელებს ზიგფრიდის ხაზი აქვთ საზღვარზე, ჯენტლმენებს კი — არავითარი სურვილი არა აქვთ კისერი მოიტეხონ ამ ხაზზე და გვერდებიდან შემოვლას ამჯობინებენ.

გერმანიას მეზობლები ჰყავს. ისინი ნეიტრალიტეტს იცავენ.

— მეზობლებო, თავი დაანებეთ ნეიტრალიობას!, ღვთის გულისათვის უკუაგდეთ ეგ ვერანა ნეიტრალიტეტი! შეუტეით გერმანიას! ჩვენც შევუტევიდით, მაგრამ არ ღირს... ზიგფრიდის ხაზი უხერხულია გასაველეად. მანდდან შეუტეით, გაფიცებთ ყველფერს... მიდით, რისა გეშინიანთ? ზარბაზნების? მერე რა, ისროლონ, ყველას ხომ არ დაგხოცავენ?... თუნდაც დაიხოცოთ, რა უშავს, სამაგიეროდ ცივილიზაცია გადარჩება! —

— სიამოვნებით დაგთამაშდებოდით, მაგრამ ამ მუშებსა და გლეხებს რა ვუყოთ? არ გვიჩერია, ომი არ გვინდაო. — უბასუხებენ ჯენტლმენებს ზოგიერთი ნეიტრალური ქვეყნების მმართველნი.

— დახვრიტეთ! ჰუმანიზმის გულისათვის! ასეთი ურჩები მასობრივად გაჟლიტეთ! გაფიცებთ სათნოებას, კაცთმოყვარეობას! თორემ ცივილიზაცია საფრთხეშია!


ოღონდაც, ცივილიზაცია საფრთხეშია — ჰუმანური ჯენტლმენების გადაშენება!

ბერლინი

ნახ. გ. ისაევისა. თავეზიანი კითხვა-პასუხი



- თქვენ ჩადიხართ?
- რა თქვენი საქმეა?
- შე ჩავედივარ.
- რა ჩემი საქმეა?
- გამატარეთ.
- ეს სხვა საქმეა...



— მობრძანდით, დაბრძანდით, — ტკბილი ღიმილით შეეგება რედაქტორი შემოსულ ახალგაზრდას, რომელსაც თავი ისე მაღლა აეწია, რომ კაცს ეგონებოდა ვარსკვლავების რეგისტრაციას ახდენსო.

ახალგაზრდამ დინჯად დაათვალიერა ოთახი, სახეს კიდევ უფრო მკაცრი იერი მისცა, თმაზე ხელი გადაისვა, მკერდი წანი წასწია და მკვეთრად სთქვა:

— რედაქტორი მინდა.

— მე გახლავართ, დაბრძანდით. —

— ბოდიში ამხანაგო რედაქტორო, დასაჯლომად არა მცალიან, როგორც მოგეხსენებათ, დრო ოქროა და ყველა ჩვენთაგანი, როგორც სპეტაკი მომუშავენი, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსი, უნდა ცდილობდეს, რომ ყოველივე წუთი გამოიყენოს იმისათვის, რომ მთელი შესაძლებლობა და შემოქმედება, აყვანილი ენთუზიაზმის უმაღლეს წერტილამდე, მიმართოს ჩვენი ტურფა ქვეყნის კიდევ უფრო აყვავებისათვის. ხო და, როგორც მოგეხსენებათ, იმ დარგს, რომელიც აანთებს ჩვენში შემოქმედების ცეცხლს და გაქანებას და...

— უკაცრავად, თქვენ რა გნებავთ?

— მომეცით უფლება ამხანაგო რედაქტორო, რომ ჩემი აზრი დავამთავრო... ხო და იმას ვამბობდი, რომ მეც, ავირჩიე ისეთი დარგი, რომელიც იწვევს ჩემში მთლიან ამჩქეფარებას, არ უნდა გვაეიწყდებოდეს, რომ... თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად. ლექსი მოგიტანიათ?

— დიად, სწორედ ლექსი მოგიტანე და სრული იმედი მაქვს პირველსავე ნომერში გაუშვებთ — და ჯიბიდან დიდი ფორმატის ქაღალდი ამოაძვრინა...

რედაქტორს ცივმა ოფლმა დაასხა, რა წაიკითხავს ამოდენასო, მაგრამ მაინც დადინჯებით შეუდგა კითხვას.

— კი მაგრამ თქვენი ლექსი ლირიკულია და ჩვენ კი იუმორისტულ ნაწარმოებებს ვებუძავთ — წყნარად მოუგრ რედაქტორმა, როცა ლექსი ბოლომდე რის ვაივაგლახით ჩაიკითხა.

— მერე რა ვუყოთ? — თქვენც აიღეთ და გადააკეთეთ იუმორისტულად.

— თქვენს ლექსში არც რითმებია...

— მოუნახეთ რითმებიც, საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

— არც ზომია დაცული...

— ზომაც დაიცავით, ჯამაგირს ხომ იღებთ?

— კი მაგრამ, თქვენ სავსებით არ გეხერხებათ ლექსის წერა, აქ არც სტილია დაცული, არც რიტმი, არც მხატვრ...

— მოითმინეთ, მოითმინეთ... სწორედ ამისათვის გყავთ თქვენ შტატი კორექტორის, ლიტთანამშრომლის, სტილისტის, სამხატვრო და სხვა, რომ ასეთი წვრილმანები სწორედ მათ აკეთონ და აშალაშინონ. ერთის სიტყვით, გიტოვებთ ამ ლექსს იმ პირობით, რომ ეურნალის უახლოეს ნომერში გაუშვებთ, ერთი წვრილმანიც: ჰონორარის ანგარიშში ერთი ხუთასიოდე მანეთი გამომიწერეთ, — დანარჩენი დაბეჭდვის შემდეგ იყოს.

— გეტყობათ ხუმრობა გემარჯვებათ, — მაგრამ ასეთი ნაწარმოები ჩვენ არ გამოვვადგება, — გადაჭრით მიუგო რედაქტორმა.

ახირებული ავტორი, როგორც იტყვიან, ჩააფრინდა ამ პასუხს და გაღმა გადაქეპტა იწყო:

— საქმეც მაგაშია ამხანაგო რედაქტორო, — თქვენი ეურნალი ხომ იუმორისტულია, მაშასადამე, ხუმრობაშიც ჰონორარი მერგება. — ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ხუთასი მანეთი იყოს.

რედაქტორი მხრებს იშმუშნის, უხსნის, არწმუნებს, რომ ჩვენთვის საჭირო ხუმრობა სხვა არის, რომ მისი გრძელი, კოჭლი და ელამი ლექსი გამოუსადეგია, მაგრამ ახირებული ახალგაზრდა იცავს თავის საავტორო უფლებას.

მუსაიფი, ე. ი. რედაქტორის მოცდენა გრძელდება.

დავითა

საუუქვლიანი გაურთხილება

ნახ. მ. ლებეშვიცია.



შეშა: — კორების გავრცელებას თავი დაანებე, თორემ ტასოს ნაცვლად მავანის სააგენტოს დაგიძახებენ.

ნახ. მ. ლეგეშვილი



1.—დაზიანების ბიურო? ტელეფონი ცუდით მუშაობს, შეკეთება ხაჭირი.



2.—მოვიდა დაზიანების ბიურო.



3.—მამ როგორ გვეგონა, მე დაზიანების ბიუროდან ვარ, შემკეთებელ ბიუროდან კი არ გვეგონო.

თხა ფარეხით გამოსული კორდის პირას სძოვდა ბალახს, უკადრისი, გვერდს უვლიდა მწვანეს—ფეხით გადაწვლიდა ნორჩ საკვების მძებნის მდომელს—საღერდელი ემღებოდა, კენტრუშით და ბაკი-ბუკით, გარეშემოს ევლებოდა. უცბად, კლდისპირს გადაადგა, გადახედა ღრანტეს დაბლა და სიხარბემ წვერცანცარას—სახე ღიმილს შეუთაფლა: კლდეზე ნეკერს მოჰკრა თვალი, ღალიანს და კოკორსავსეს ნიაზე რომ ირხეოდა—შტოაყრილი—სიბის თავზე. კლდეს სახტომი არა ჰქონდა, მიუვალი იყო სალი, მის ფართო და პიტალო ძირს—ვერ სწვდებოდა კაცის თვალი. „მე-ე, მე-ე-ე“ შეჰკიკინა ეშხიანად, „გულის მწველად“, და ჩახტომა მოისურვა—მჩატე გულით, უღარდელად, არც მოსინჯა, არც გაზომა, არც აცია, არც აცხელა, და კამარა შეჰკრა უცებ იმ ნეკერის საცოხხელად, სკუბ და მყისვე წვერცანცარამ ტანი კლდეზე გადაზიდა, მაგრამ სიპზე ჩლიქოსანმა ფეხი ვეღარ მოიკიდა და უფსკრულში გადიგება, ბეჭ-ხერხემალ დანაბეჭი, რის ნეკერი? საკუთარც, ხედავს ოხრად რჩება ლეში მამინ კი სთქვა:—ვახ სირეგენე, ეს შემძინა უგზოდ რბენამ!.. მაგრამ რაღას უშველიდა მას გვიანი ჩლიქზე კბენა?.. ეს იგავი ვაცზე თქმული, მის სიბეცის სარკე სრული, ძველთაგანვე დარჩენილი ბრძნულ ანდაზად გამოსული, დღეს ჩვენ კვალად გაგვახსენა ზოგიერთმა დიპლომატმა, მათმა „მე-ე-ს“ კიკინმა და ატროკებულ ცმუკვამ მათმა. ცილინდროსან ვაცებს ხიბლავს სწრაფვა „ბრძნული და კეთილი“, მაგრამ სჯულაც აღარ ახსოვთ იმ ძველ ვაცის გაკვეთილი. და ჩვენ გვინდა (ნუ დაგვძრახვენ) ეს ამბავი გაგვახსენოთ, და ამასთან სხვათაშორის, დავსძინოთ და მოვახსენოთ, ვისაც ჩვენი ნეკერისა კორტისი მადა შერჩენია, კისერს, კისერს გაუფრთხილდეს, ვიდრე მთელი შერჩენია.


თარსი

ნალიროზის შემდეგ

მონადირე ზემბილაძე ჩვეულებრივ ხელცარიელი დაბრუნდა ნალიროზიდან. მაგრამ ხელცარიელივე ხომ ვერ მივიდოდა სახლში? ამიტომ ბაზარში გამოიარა, ერთი გრძელწვერა კოლმეურნისაგან კარგი კურდღელი იყიდა და სანადირო ჩანთაზე ჩამოიკიდა. — მომილოცავს, მომილოცავს!— მიესალმა ზემბილაძეს მეზობლის ქალი, — შესანიშნავი კურდღელი მოგიკლავთ! — არა უშავს...—სიამაყით წარმოსთქვა ზემბილაძემ, რომელიც კარგი ხანია, თავს იწონებდა ამ ქალთან. — მართლაც მშვენიერია. სად მოჰკალით? — აზერბაიჯანის მხარეში... — ჩინებულია, თქვენ ხელცარიელი არასოდეს ბრუნდებით... აი, ვილაცას კიდევ მოჰყავს... მათ ის გრძელწვერა გლეხი უახლოვდებოდა. ზემბილაძემ ძალზე შეკრთა. — თუ გნებავთ, იყიდეთ,—გლეხმა შესთავაზა ქალს. — რა ღირს! — თხუთმეტი მანეთი. — ძვირი ყოფილა. — როგორ გეკადრებათ. აგერ ამ კაცს ჰკითხეთ: ამ წუთში მივეიღე მაგასაც თხუთმეტად... ზემბილაძეს ხელიდან გაუვარდა ნანადირევი. ქალს არც კი შეუხედავს მისთვის, ისე იყიდა კურდღელი და როცა სახლში შებრუნებას აპირებდა, ზემბილაძის გასაგონად კოლმეურნეს უთხრა: — მე მეგონა მართო აზერბაიჯანის მხარეში შეიძლებოდა ასეთი კურდღლების მოკვლა. — რატომ, ჩვენშიც ბევრი გახლავთ,—მიუგო კოლმეურნემ,— რაც შეეხება სიძვირეს, ე. მონადირეებიც რომ ხოცავდნენ ნანადირევი უფრო იაფიქნებოდა ბაზარზე;—მიუგო კოლმეურნემ და ზემბილაძისაგან გაიშვირა ხელი. ქალს იცინოდა. გუზგუზ

საზონის ლუკსეანი

- ქუთაისის თეატრში დაიდგა სანდრო შანშიაშვილის ისტორიული დრამა: „გიორგი სააკაძე“.
- მარჯანიშვილის საზ. აკად. თეატრში დაიდგა უშანგი ჩხეიძის ისტორიული დრამა: „გიორგი სააკაძე“.
- თეატრებში დასადგმელად მიღებულია იონა ვაკელის ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“.



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.



გიორგი სააკაძე (ს. შანშიაშვილს, ი. ვაკელს, უშ. ჩხეიძეს)—გული საგულეს იქონიეთ ყმაწვილებო, მე გამოგიყვანო.



მთავარი ობიექტი

პროფკავშირის ერთერთ სექციას სარაიონო ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი ჰქონდა გადაცემული.

სუსხიანი ზამთრის შემდეგ დაღა მშვენიერი გაზაფხული.

— იენისის პირველ რიცხვებისათვის დასვენების პარკი მზად უნდა იყოს გასახსნელად! — გააფრთხილა დასვენების პარკის გამგე პროფკავშირის თავმჯდომარემ.

— მთავარი ობიექტი მაინც მზად იქნება. მუშაობას ჩქარი ტემპით წავიყვან! — უპასუხა დირექტორმა.

ორი კვირის შემდეგ კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი პროფკავშირის სარაიონო ორგანიზაციაში გამოიძახეს.

— როგორ მიდის პარკის მომზადება მასების მომსახურებისათვის.

— იენისის პირველ რიცხვებში მთავარი ობიექტი მაინც მზად იქნება. — გაუმეორა დირექტორმა.

გეგმის მიხედვით პარკში უნდა მოწყობილიყო პავილიონი სასულე ორკესტრისათვის, საცეკვაო მოედანი, კულტ-კუთხე — სამკითხველოთი, საჭადრაკო ოთახი, წყლის აუზი და შადრევანი, დადგმულიყო გრძელი სკამები დამსვენებელთათვის და სხ. დრო გადიოდა, პარკში მუშაობა არ იწყებოდა. დირექტორს კვლავ გამოუძახეს.

— მაისი ილევა. პარკის მუშაობის სეზონი აქამდე უნდა დაწყებულიყო. ჩვენი ბაღის კარებს კი ვეებერთელა ბოქლომი ადევს და არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს. რას იტყვი თავის გასამართლებლად?

— რა უნდა ვთქვა, როცა ჯერ არაფერი დაშავებულ. პარკის გახსნა ხომ პირველ იენისისათვის გვაქვს დანიშნული?!

— მართალია, მაგრამ რომ არ ემზადებით?!

— წინდაწინ რად საყვედურობთ. პირობა მოგეცით და დანიშნულ დროისთვის კიდეც შეგისრულებთ: 1 იენისის დღის პირველ საათზე მზად იქნება მთავარი ობიექტი.

— ეჭვი გეპარება.

— მობრძანდით და ნახეთ დანიშნულ დროს. თუ არ იქნეს პასუხისგებაში მიმეცით.

დანიშნულ დღეს, დანიშნულ საათზე, — ბაღის შესავალთან მართლაც აღმართული იყო მთავარი ობიექტი... სალარო.

მოკუტულობით იგი სოფლურ ხის საპირფარეოსს ჰგავდა, მაგრამ ზეთის საღებავით მოკაზმული მაინც კოპწიად გამოიყურებოდა.

მოძრაობის პრობლემა

მზიან საქართველოს მზიან ქალაქ თბილისის მზიან მოედანზე, იმ ადგილს, სადაც ყურის და პლენანოვის ქუჩა ერთმანეთს ხვდება, იდგა ორი მოქალაქე და ორივე მა-

თვანი კომპასის ისრებივით ტრიალებდა. იმ განსხვავებით რომ კომპასის ისარი მუდამ ჩრდილოეთს გასცქერის, ისინი კი ყველა მხარეებს ოთხივე ქუჩის ყველა სივრცეებს გასცქეროდნენ. ეტყობოდათ ავტობუსის ან ტროლეიბუსის მომლოდინენი იყვნენ. გასცქეროდნენ სივრცეებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ სჩანდა.

— თქვენ საით მიდიხართ ამხანაგო? იქნებ ტაქსი შეგვხვდეს...

— ვალმა. ოღონდ რამე იყოს და ტაქსი კი არა, „ტაჩკას“ დავაჯდები.

მეც მათ მდგომარეობაში ვიყავი. დიდხანს გავცქეროდი ქუჩებს, ჩემთვის სულ ერთი იყო რა მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტიც არ უნდა შემხვედროდა: შემოვივლიდი და ბოლოს მაინც ვალმა გავილოდი, მაგრამ ამოდ, არც ერთი მხრიდან არაფერი ჩანდა. მაინც ვიჭონებდი ბრძნულ თქმულებას — „ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობს“ — და თავს ვიმხნევებდი.

არაფერი ჩანდა. ქუჩის სიცალიერემ დამაფიქრა: ნუ თუ ყველაფერი მოძრაობს?! ავტობუსებო? ტრამვაებო? რატომ არ სჩანან თუ მოძრაობენ? ჰო, მართლა, ჩემი თავი კი დამავიწყდა! რატომ ფეხით არ მივდივარ თუ მეც ვმოძრაობ?

ამ გაფიქრებაზე მსწრაფლ მივიღე პრაქტიკული დასკვნა და ფეხით გაუყევი ჭიბჭიძის აღმართისაკენ. სხვა მგზავრებიც მე ამედევნენ. ვერის ხილს რომ გამოვშორდით თავზე ტიპის სამგზავრო თვითმფრინავმა გადაგვიქროლა. მისმა გამოჩენამ და ჩვენი ფეხების რიტმიულმა სრბოლამ ჩემს თავში ახალ სიბრტყეზე დააყენა მოძრაობის პრობლემა.

მართლაც ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობს... ჩვენი ტროლეიბუსების და მთავარი მნიშვნელობის მარშრუტის ავტობუსების გარდა.

ტალანტი

პარიზიდან ახალ დაბრუნებულ მოქალაქეს მეგობარი ესაუბრებოდა. ყველაფერი გამოჰკითხა და ბოლოს კითხვა პარიზის ხელოვნებაზეც ჩამოუვლო.

— ამბობენ უამრავი თეატრებია და ნიჭიერი მსახიობები ჰყავთ პარიზელებსო.

— ჰყავთ. მართალია. — დაეთანხმა უცხოეთიდან დაბრუნებული.

— ხომ არ იცნობთ პირადად რომელიმე მათგანს?

— ვიცნობ, როგორ არა! ახალგაზრდა ქალია.

— ნიჭიერია?

— ნამდვილი ტალანტი.


— ნუ თუ მართლა?

— მართლაც გეუბნები იშვიათი ტალანტია, ისე ოსტატურად იცის სცენაზე გაშიშვლება, რომ ვირტუოზია, ქვეყანაზე ბადალი არა ჰყავს.

მიღუა

„გასამართლებელი საბუთი“

ნახ. დონისა.



— თქვენი მაღაზია ხომ აქედან ორმოც ნაბიჯზეა მოთავსებული, თქვენ კი მანქანით მცხეთაზე რატომ მოუვლით ხოლმე სამსახურში მოსახვედლად?

— მაშ რა ვუყოთ, მანქანას გარაუფი უმოკმედლოთ ხომ არ ვაფაჩერებთ?

ქატოსანი კაცი



ქართული
ლიბრარი

ტრამვაის ვაგონში ვიღაც მოქალაქე აუხირდა კონდუქტორს:
— შაურებისაგან რომ შეიძლება თუმანი შესდგეს, იცი?
— ათი თუმანიც შაურებისაგან შესდგება, — თავის მხრივ დაადასტურა კონდუქტორმა.

— მერე? ათი თუმანის მოპარვა პატიოსნებაა ვითომ?
— არც ისე, მაინცდამაინც! რაშია საქმე?
— საქმე იმაშია, რომ ჩემი შაური დამიბრუნე.
— მერე? ათ თუმანს მომცემ?

მოქალაქე გაცხარდა:
— მე კონდუქტორის დასაცინი კაცი არ გახლავართ. მომეცი ჩემი ხური, ჩემი შაური.

მამინ კონდუქტორმა ჩანთიდან ამოიღო, ორი მუჭა ხური და ფული და გაუწოდა:

— შაურიანი არ მაქვს. ისე-კი, აიღეთ რამდენიც გენებოთ.
— მე გლახა არ გახლავარ, შენ იცი თუ არა რომ ჩვენში მათხოვრები არ არიან! — პირდაპირ შარისაკენ გადაუხვია მოქალაქემ.

აქ უკვე მაყურებელთა მიერ ნეიტრალიტეტის დაცვამ აშკარა ბოროტმოქმედების ფერი მიიღო და კონფლიქტში ჩავერთე:

— შაურის გულისათვის ხუმნისას აცდენთ, მოქალაქე, ეს არ შეიძლება. რა გახდა შაური! — მივმართე აგრესორს.

— თქვენ იცით თუ არა, რომ... ოხ!... — და მოჩხუბარმა მოქალაქემ ხელი გამომიწოდა:

— შენა ხარ, კაცო? როგორ გიკითხო?
ჩემი ძველი ნაცნობი გამოდგა — დიანოზ ტ.
— როგორ მიკითხო? როგორც შენი ნებაა. — მივუგე მე. — შენ კი, გეტყობა კარგად უნდა იყო, გასუქებულხარ.

— ეხ, დავიღალე ძმავო, ძალიან დავიღალე. — ღონემიხდილი კაცის ტონით ამოიხვნეშა დიანოზმა.

— ვინ დაგღალა, კონდუქტორმა?
— შრომამ, — ნერვიულად განაგრძო მან, — დღეღამეში, სამოც საათზე მეტს ვმუშაობ.

— პოლუსზე იყავი?
— პოლუსზე რა მინდოდა?!

— მაშ თბილისში მაგ სიგრძე დღე-ღამე რომ არ იცის?!

— შენთვის მართლაც გაუგებარია ეგ ამბავი. არ იცი, რომ ერთ საათს გონებრივი მუშაობა ოთხ საათს ფიზიკურ შრომას უდრის?

— მერე?
— მერე და დღეღამეში რომ ხუთმეტ საათს იმუშაო, ეგეც შენი სამოცი საათი!

— თქვენი ანგარიშის თანახმად თქვენი ყველაზე მერხანს უნდა იცოცხლოთ. — შორიდან მოვუარე.

— ეგ რაღას ნიშნავს? — იკითხა გაკვირვებულმა.

— ორმოცდაათ წელიწადს რომ იცოცხლო, და იმუშაო, ეგეც შენი ორასი წელიწადი! — სიცილით დავამთარე უცნაური არითმეტიკა და კამათისათვის რომ ბოლო მომელო ნაცნობს ვკითხე:

- რაზედ მუშაობ?
- გრძელვადიან სამეცნიერო მივლინებაში ვიყავი.
- სად?
- ყარაიხში.
- არკვევდი რასმე?
- რასაკვირველია.
- გამოარკვიე?
- ვერაფერი.
- ხელი შეგიშალა რამემ?
- ასე ვთქვათ.
- მაინც რამ?

— ღორი ვერ დავიჭირე.
— ღორის გამოკლება რა მოცინებდაა, ბიჭო!
— სცადე, აბა.
— რა ცლა უნდა.

— შენ დამიჭერ გარეულ ღორს?
— შენც რომ ვერ დამიჭერდი, არ იცოდი?
— მე გოჭი მინდოდა დამეჭირა, უღონოა შედარებით, შენაძლებელია.

— მერე, ვერ დამიჭირე?
— არაფერი გამოვიდა, სადაც გავედი ყველგან დედა-ღორე ბი დამიხვდნენ, ვერ გავებდე.

— მერე? თავი დაანებე და უკანვე წამოხვედი თბილისში?
— რასაკვირველია. ღორების შესაჭმელი თავი სად მქონდა

— კი მაგრამ, რად გინდოდა გარეული გოჭი?
— გოჭის თავის ქალა მინდოდა, სპილოს ქალასათვის უნდა შემეღარებინა. ორივეს, ეშვები აქვთ, მათი მსგავსება მინდოდა გამომერკვია.

— მერე? გარეული ღორის თავს თბილისში კი ვერ იშოვნოდი?
— რა უნდათ თბილისში გარეულ ღორებს! რომელი მომღერლები ისინი არიან, რომ გასტროლებზე ჩამოვიდნენ!

ალარ შევედავე, შემეცოდა, ისეც ტანჯული იყო მეცნიერებისათვის.

— ახლა რა უნდა ქნა? — კვლავ შევეკითხე.

— შევცვალე აზრი, — თქვა მან, — შინაური ღორის თავი გამოვიყენე გარეულის ნაცვლად, მაგრამ...

— მაგრამ რა?
— მაგრამ ის, რომ სპილოს თავის ქალა ვერ ვიშოვნე; ცოცხლის დაცვლა ძვირად დაჯდება და ისე კი აქ ვერსად მივაგენი. თავის გულისათვის მივლინებაში შორს წასვლა შემეზარა.

— მაშ საბოლოოდ დაანებე თავი ამ შესანიშნავ გამოკვლევას?

— არა, რა სათქმელია!

— მაშ...
— სპილოს თავის ქალაც შევცვალე. დღეს დამებადა აზრი, შინაური ღორის თავის ქალა მინდა ადამიანის თავის ქალას შევადარო.

— საინტერესოა!..
— ხომ კი.

— მაგ საქმეში მეც შემიძლიან დავგხმარო — საქმიანი წინადადება მივეცი ამბერკის, — მე დიდხანს ვმუშაობდი მაგ საკითხზე.

— გამოარკვიე რამე?
— რასაკვირველია.


— მაინც, რა?
— ის, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა ღორის თავის ქალასა და ადამიანის თავის ქალას შორის.

— ახელდობრ რაში?
— თუნდაც იმაში, რომ ღორის თავის ქალას არ შეუძლია ტყუილ-უბრალოდ შეყლაპოს რამოდენიმე ათასი სახელმწიფო მანეთი. ადამიანის თავის ქალა კი, ამას ხანდახან იოლად ახერხებს.

დიანოზს ჭირის ოფლი დაასხა შუბლზე. ველარაფერის სთქვა, გამოუმშვიდობებლად დაგვტოვა მეც და ტრამვაის ვაგონიც. გასწავლელ კარებთან კი კონდუქტორი დაუხვდა დიანოზს, ხელში შაურიანი შეაჩეჩა და ნახევრადწყრომით უთხრა:

— თქვენ სცდებით, მოქალაქე, მე არც ისეთი უპატიოსნო კაცი გახლავართ, რომ ფულის გულისათვის სინიღისი გავყიდო...

გ. ივანიშვილი



— აღბათ მხოლოდ წამიარწი მღერის, წაუხუდილითი კი ჩვენი ხტებენა და ხმას არ ღებს.

აგათაც გაიღვიძეს



ოგოსათა— ამბობენ ვარდ გაწაფხუდლოთ, წეგავი ამ კლებს კარგე ახლა მინდვ გაღებდნენ, რომ წვებს შეგებდით

წინდახედული დაგბარებულნი



— ველო წერილები დავაჩივი, ეს ორმოცი ცილო-ლა დარჩა
— ბივის დაჩივი, ჩალს ეუბრებ?
— კოლმეურნიობის ოაგეჯლომარის ხახელწე, სულველოთ, აღბათ ცარკულიარებია რაიმეწაწიდან, არ მინდა მოვადიწიო კაცი.



დიღმას ქელეზი

ქარბაბა— წუ თუ ადენი ძროხები ჰევეო ქალოქი, რომ მიველ ხალას ოქ ეწიღებთან.
ბაბი:— რის ძროხა, რა ძროხა, წემოქარგო, ეს ლხი ქალაქში ოინჯასაც კი პრეველხარისხოვან ყუბოლოდ ახალეს.
— ვეაიღებენ გომეარულ ვერთი კლთამეჯღომაგარის თამეაღდასაეპლი



— წეგავი რა ჯაშის მიტეხია, რომ წიღებენა დაგასწრებს?

ღირიკული ვიქარაბი



— ემ წეგავი ერთი ღობა ოახხა მანეთი მოგვეკო
— რად გნდო, წიქი!
— ამ მინა საეგრაეო სუწონის დროსაც უფენარ ჩუნებელი ჩენი პატიარისხაგან

ველოაზე რთული საქითხი



1. — საღაც არის თუფელი ვადენება და პარტელი ეწეღა აიგავა— სოქეა კოლმეურნიობის ოაგეჯლომარემ და მინდვრად ვადეო.

ვაპიხინდა...

2. — ეწემაკა დახეველოქი, წეგავი ვეს დარჩა ეს გუთანი ამ გრავალ მინდვრისე!



— ხაწულო სკოლის დამაეგებრა აჩავევია, საეგე იხ არის ვამეგნაროი ახეთი პილოფსია, არილის შექენის წეწღეა მხოლოდ სობოლსში ვეაწუშეაწაწ.



(სცენა წარმოადგენს ხობის № 1 სასადილოს. გარედ წვიმს. შიგნითაც წვიმს, შედარებით უფრო წვირილად. ბუფეტზე, მაგიდები, სკამები. სამზარეულოდან ისმის გოჭის ტყვიტინი. მზარეულისა და ოფიციატების შეძახილები: „დაკალი. დაკალი“ იქით, ძაღლო! აქშა, ქათამო!“ „ვარევე, კაცო ეგ ბატები!“).

მოსადილე. (შემოდის მეტად მშვიდი სახით. მაგიდას მიუჯდება). აბა, მომხედეთ ერთი! მაჭამეთ რამე! (პაუზა. ღუმილი, კაცო, ცოცხალი არევენ ხართ?)

ხმა სამზარეულოდან:—სი-ჩას! მარუსია! სოფრომი მიხედე! (გამოდის სოფრომი. თეფში და დანა-ჩანგალი გამოაქვს და მაგიდაზე ალაგებს).

მოსადილე—კაცო, სოფრომი, ეს თეფში ვერ გარეცხეთ? რა გაქვთ საჭმელი?

სოფრომი—ვაი და ვუი მარუსას... რავა დაავიწყდა საანის გარეცხვა... საჭმელი გახლავთ გოჭი და ინდოური, ბატი და ქათამი, ღომი და საცივი, ბულღამა, ყაურმა, ხარჩო, სოუზი, ბოზბაში... ღვინო თეთრი, წითელი, შავი...

მოსადილე (თავისთვის). ისემც ღმერთი გიშველით... მომიტანე ღომი და საცივი.

სოფრომი—ეხლავე! (გარბის. გადის ათიოდე წუთი. შემოდის ზურგადაფხეკილი ნაგაზი „გიშერა“. მიდის მოსადილის მაგიდასთან, დასუნავს თეფშს და უქმაცოფილოდ დაიღრიჯება).

გიშერა—ჰავ! ჰავ! ჰავ!
მოსადილე—გადი, ძაღლო, გარეთ!
გიშერა—ჰავ! ჰავ! ჰავ!

სოფრომი—(გამოვარდება და ძაღლს შეუტევს) პშოლ! პშოლ! გააჭირვა ამ ძაღლმა საქმე!

მოსადილე—რად გინდათ, სოფრომი ეს ქეციანი ძაღლი?

სოფრომი—ქეციანი კი არა, კაი ძაღლი იყო, სანამ ჩვენს იორდანეს ჰყავდა. მარა იორდანეს წაართვა ჩვენმა სასადილომ და იშვილა... ახლა, ძანს რო გვაწუხებს, მღურლარე წყალს ვასხამთ და მიტო აქვს ე ზურგი გადაშვლებილი. ისეთი კაცი ვერ შემოვა, რომ მაგ წუწქმა მასთან არ ისადილოს...

მოსადილე—ეს კარგი, მაგრამ კერძს აღარ მომიტანთ?

სოფრომი—(მოაგონდება) ჰო, მართლა, კერძი... ახლავე. (გავარდება და ღომს და წვენს შემოიტანს).

მოსადილე—(თეფშს დახედავს. წყევით)

კი მარა, რაზე ეტყობა, რომ ეს ინდოურის საცივი? ხორცი რატომ არაა შიგ? **სოფრომი**—ხორცი? ღმერთო... (ყვირის) ხუტა! ხუტა! ბუფეტჩიკ! (ძახილზე შემოდის მებუფეტე ხუტა) კაცო, იმ ინდოურის საცივი რომ გააკეთებთ, თვითან ინდოური რა იქნა? გაფრინდა?

ხუტა (თავს იქექს) მაგათ გოფრინდეს ყველა კეთილი! ალბად სხვებს შეაჭამეს. აგერ მოგიპრით გოჭს. (უჭრის და წვნიან თეფში უდებს) გოჭი წვნით უკეთესია.

მოსადილე (კმაყოფილი) ბატონი ბრძანდებით. გოჭი იყოს. სხვა-რა გაქვთ ბუფეტში?

ხუტა და სოფრომი—ყველაფერი, ყველაფერი... მობრძანდით, თვითონ ნახეთ.

(მოსადილე დგება და ბუფეტს ათვალიერებს. ამასობაში შეუმჩნევლად შემოპარული ნაგაზი „გიშერა“ მაგიდასთან მიდის, ჯერ ღომს შეჭამს, მერე გოჭის ხორცს სტაცებს პირს და გარეთ გავარდება. სულ უკანასკნელად მას თვალს მოჰკრავს სოფრომი).

სოფრომი—უჰ! შენ დეგექცა დაბადება! კიდევ არ შეგვარცხვინა? (სამზარეულოში შევარდება, ქვებით ცხელ წყალს გამოიტანს და ძაღლს მისდევს. მცირე ხნის შემდეგ გარედან მოისმის ძაღლის კივილი და სოფრომის შეძახილები: „აჰა! ესეც შენი მოგხარჩე თუ არა!“).

მოსადილე (შეწუხებულია, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს) ძალიან ცუდი ჩვეულება ჰქონია თქვენს ძაღლს!

ხუტა—მოგვჯაყა, ბატონო, მოგვჭრა კისერი! ახლავე ახალ კერძს მოგართმევთ. აგერ დაბრძანდით მეორე მაგიდაზე! მაქ მინც წვიმა ჩამოდის... სახურავი დანგრეულია! (ახალი კერძი გამოაქვს და მიართმევს. შემოდის სოფრომი) მაგ ძაღლის გამო მეც და სოფრომიც მზად ვართ მივატოვოთ ეს ადგილი და ძველ ხელობას დაუბრუნდეთ.

მოსადილე—რომელ ხელობას?
ხუტა—საგზაო ტექნიკოსობას...

სოფრომი—მე კი მეჩექმეობას. მე ოსტატად ვიყავი არტელის სახელოსნოში.

მოსადილე—(მადიანად ილუკმება). მერე რატომ დაანებეთ თავი?

ხუტა, სოფრომი—(ერთად. ერთი მეორეს აწყვეტინებენ) იმიტომ დავანებეთ, რომ... თვითონ მიხვდებით... აქ შემოსავალი მეტია. რა შედარება... იქ რომ თვეში ვაკეთებდით, აქ ორ დღეში გააკეთებს კაცი... ჰკითხეთ თუ გინდათ ჩვენს გამგეს ლაუს და კოლგამგებობი! თავმჯდომარე ჩიტაის...

მოსადილე—(გაკვირვებული წამოხტება. ხელებს ასავსავებს) რას მეუბნებით კაცო? (ამ ლაპარაკში ისევ შემოპარული „გიშერა“ კვლავ სარგებლობს გაცხელებული საუბრით, კვლავ სტაცებს პირს ხორცს და გარბის. მას ყვირილით მისდევს მოსადილეც, სოფრომიც და ხუტაც. ისმის ყვირილი: „დაიჭირეთ! აქ გაუშვით!“)

(ფარდა სწრაფად იხურება).

ნორჩი მზრუნველი

ნახ. ა. კანდელაკისა



- ხად მიდინარ ბიჭიკო?
- სკოლაში.
- კი მაგრამ, ეგ ხომ მოზრდილთა სკოლაა?
- აქ მამა სწავლობს და მინდა შევიტყო მიხი წარმატებების შესახებ.



ურთხილი

ტყიბულას საპარტიკმაზრო, რომლის შენობის აგება მეორე წელიწადია კიანურდუ ბნელ, შეუფერებელ დარაბაშია მოთავსებული



— ვერ გაგპარსავ, ძმობილო, ისეთი გამხდარი ხარ რომ ყბაზე ხორცი არა გაქვს და ამ სიბნელეში ძვალზე თუ მომიხვდა, ხომ ხულ დამემტვრა სამართებელი.

„მ ი ზ ე ზ ი“

პატარა ფლევის (ხაშურის რაიონი) კოლმეურნეობის აღკ პირველად ორგანიზაციაში ნ თვეა ჯრება არ მოწვევიათ.



— რატომ არ იწვევთ კრებას?
— რაქვინი ბრალია, ჯერ ხომ უნდა კრება მოვიწვიოთ, რომ საკითხი დაჭამუშავოთ კრების მოწვევის შესახებ.

„კეთილშობილი აზრი“

სოფ. ჯინასკარის (ზუგდიდის რაიონი) კოლმეურნეობის კეთილშობილ დაუნას პირუტყვი ანადგურებს.



— შევუთოთ ბოჩოლას, კეთილშობილ დაუნას ანადგურებს. იმე, ბოჩოლა უფრო კეთილშობილი არ არის? რომელი ზნეილისი შეედრება, ჯერ ორი თვისაა.

იოლი საშუალება

სოფ. საქობოს (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობის თავმდომარემ და საწყობის გამგემ არ იციან რა რაოდენობის ქაღალტი მოეპოება კოლმეურნეობას.



— ყველა ყველა, აგრამ ღვიხოს რაღა არწყვა უხდა. დღეში რვა ლიტრა მყოფნის, დავაკვირდები რამდენ თვეს მეყოფა და გათავდა.

სუსიან ჯამთარში

ხაშურის მე-17 სრულ საშუალო სკოლაში დუმელებს არ ანთებენ.

ა. რ-მე



— რომელ გეოგრაფიულ ზონას ვეკუთვნივ ჩვენ?
— ჩვენი სკოლის ტემპერატურის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, უხათუოდ არქტიკას მივეკუთვნებით.

„გზრუნველი“

მუხურის (ტყიბულის რაიონი) კოლმეურნეობის თავმდომარე ი ჩაუიძე, საწყობის გამგესთან დ. ბარბაქაძესთან ერთად მთელ დღეებს ჭეიფში ატარებს იმ დროს, როცა კოლმეურნეობის მუშაპირუტყვი უპატრონობით იხოცება.

მ. ბ-ლი



— სიკვდილის ღირსია ეს საოხრო, მაშ რა, მირჩინოვით ღვინოს ვთავაზობ და იმდენად უმადურია, რომ პირს არ აკარებს.



(სუბტი ნახევრებია ქუთაისის საბინაო სამმართველოს პრაქტიკიდან).

ისტერიული სკეტჩი 2 უმოქმედებად, 3 მიხტომად, 5 შესახლებად და 6 გამოსახლებად.

მოქმედნი პირნი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 და ასე შემდეგ. აგრეთვე ქუთაისის საბინაო სამმართველოს უფროსი, მილიციელი და სხვა შემთხვევითი პირები.

მსახიობებმა შაინც და მაინც როლები (კარგად არ უნდა იცოდნენ,—თუ პარტნიორმა რეპლიკა დააგვიანოს, მსახიობს უფლება აქვს დროგამოშვებით წამოიძახოს: „ღიახ, ღიახ... თავისთავად ცხადია... აჰა, ერიპა! აი, აი, აი“..

მაშასადამე: ჩვენ ვიწყებთ. ფარდა იხსნება. სცენა ორი-სამი საათით ცარიელია. ჩქარი ნაბიჯით შემოდინ: 1 და 2.

1.—პირდაპირ საინტერესო შემთხვევაა.

2.—სთქვით კაცო, რა ამბავი მოხდა?

1.—ბედი მწყალობსო, მას შეუძლია სოქვას. (აჩქარებით დადის).

2.—გთხოვთ, ნუ ტრიალებთ კაჭკაჭით და სთქვით რაშია საქმე.

1.—ოჰო! ეგ კარგად სთქვი. გენაცვალე შედარების მხატვრულობის კონტურებში...

2.—უნდა გითხრა, რომ...

1.—ეს შეუძლებელია! (შეჰყვირებს) ეს ყოვლად შეუძლებელია!

2.—რა არის კაცო შეუძლებელი! მე ხომ ჯერ არაფერი მიტქვამს!

1.—მერე სთქვით თქვე დალოცვილო, დავილაე კაცი!

2.—ძნელი სათქმელი არ არის. ინებეთ. არქივომ ბინის ორდერი მიიღო და დღეს აპირებს გადასვლას.

1.—შართლა?, რომელ ქუჩაზე მისცეს ბინა?

2.—ბარათაშვილის ქუჩაზე 37-ში.

1.—რას ლაპარაკობთ ხომ არ გაგიჟდით. ეს ყოვლად შეუძლებელია... გამაშვით, დავილუბე (შეხტება და გარბის. მოსაუბრე იჭერს).

2.—დაწყნარდით მე გეუბნებით (ყელში ხელს წაუჭერს) დაგახრჩობ წიწილასავით!

1.—რა გითხრა იცი? შემძვეი ცოტა ხელი მართლა არ დამახრჩო. თუ ძმა ხარ გამიშვი...

2.—ჰო, თუ მაგრეა, მაშინ სულ სხვაა... მოუხვი, თორემ მივასწრებენ. (ხელს უშვებს, 1—გარბის. შემოდის 3).

3.—რაღაც ჩოჩქოლი მოსმოდა აქედან, ავტობუსის ქვეშ ხომ არავინ მოხვედრილა?

1.—სულ სხვა შემთხვევა იყო. თქვენ წარმოიდგინეთ სრულიად უმიზნოდ ვუთხარი ერთ ჩემ ნაცნობ კაცს, რომ არქივო დარსადეს მისცეს-მეთქი ბინა. ამის თქმა და იმ კაცის შესტომა ერთი იყო.

3.—სულელი ყოფილა ის ოჯახიკორი. მაინც საინტერესოა სად მისცეს ბინა დარსადეს?

1.—თქვენ წარმოიდგინეთ მისცეს ორი ოთახი, საკუთარი საპირფარეოთი და აბაზანით ბარათაშვილის ქუჩაზე № 37-ში.

3.—(უეცარი აფეთქებით) თქვენ, ჩემო კარგო, ცოტა ენაჭარტალა უნდა იყოთ გეტყობათ. ან არა და ვილაე ტუტუცი ხართ!

1.—რატომ, ძმა?

3.—ბარათაშვილის ქუჩაზე ორი ოთახი საკუთარი საპირფარეოთი და აბაზანით დღეს მე მომცეს. თვით საბინაო სამმართველოს უფროსი აწერს ხელს.

1.—მე აბსოლუტური სიმართლე გითხარით!

3.—(მშვიდობიანი, მაგრამ სასოწარკვეთილი ტონით) აბა მართალს ამბობ კაცო? დავილუბე და ეს არის, გამიშვით!

1.—(იჭერს) სდექ, სდექ!.. ჯერ პირობა მომეცი, რომ თავს არ ჩამოიხრჩობ.

3.—თავს კი არ ჩამოვიხრჩობ კაცო, მაგრამ ძველ ცოლთან ვაპირებდი გაყრას, ვიფიქრე დავტოვებ ძველ ბინაში და ახალ-

ში-ახალი ცოლით მოვეწყობი-მეთქი. ახლა ხომ ჩამეშალა ვეფხე თუ მართლა მომასწრეს ბინაში შესახლება!

1.—თუ მასეა მოუხვი! (დაფიქრდება) აქ რაღაც ამბავია. იქნებ ის ბინა მე ჩამივარდეს ხელში. გამიშვით. (შეხტება და ხსიც გაიქცევა).

(ფარდა არ იხურება).

სცენა ორი-სამი საათით თავისუფალია. შემოდინ ბარგუ-მოკიდებული ადამიანები.

4.—ეს არის ბარათაშვილის ქუჩა? ძლივს მოვაღწიეთ. მადლობა ღმერთს მოვიხვეწებთ! (ათვლიერებს სახლის ნომრებს) ესეც № 37. შესასვლელი მომწონს...

5.—ესეც ასე. (ტვირთს ჩამოდგამს) უკაცრავად, სად არის აქ სახლი № 37. უნდა გავიზიაროთ ჩემი კმაყოფილება: წარმოიდგინეთ, მომცეს ბინა ამ ქუჩაზე, ეს ხომ ბარათაშვილის ქუჩაა — ორი ოთახი, აბაზანითა და საპირფარეოთი. მინდა ბარემ დროით დავბნავდე. იცნობდეთ ჩემს მეუღლეს...

6.—მე ვფიქრობ, თქვენ ერთგვარ შეცდომაში ხართ, ესე რგი მე სრულებითაც არ მინდა არ დავიჯეროთ, რომ თქვენ ბინა მოგცეს სწორედ ბარათაშვილის ქუჩაზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დახედეთ ორდერს.

5.—ორდერი ჩვეულებრივია (ამოიღებს და კითხულობს).. „ბარათაშვილის ქუჩა № 37, სართული მეორე, ბინა № 3“. გარკვევით სწერია საბინაო სამმართველოს უფროსის გვარიც.

6.—(ცხარედ) მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენ, ჩემო კარგო, ხომ არ შეიპირიტეთ ჭკუაზე? დახედეთ ამ ორდერს რა სწერია, თორემ მე პასუხს აღარ ვაგებ ჩემს მოქმედებაზე (მიიწევს).

5.—ხელი, ხელი, ხელი!.. მე ქვენ არ მიცნობთ... შემომაკვდებით.

(შემოდინ ქიდეც ცოლქმარნი.)

—გამარჯობათ კეთილებო! ღმერთო ჩემო, თქვენ ერთმანეთისაკენ მიიწივთ საჩხუბრად? თქვენ ერთმანეთს უხეშად მიმარბავთ?.. რა უკულტურობაა. რა საჭიროა ჩხუბი. ისა სჯობია მითხრათ რომელია № 37. ეს ხომ ბარათაშვილის ქუჩაა. (კითხულობს ბარათაშვილის პომეგს!)

5.—ღიახ, ღიახ (იმიტაციით) ეს განლაგეთ სწორედ ბარათაშვილის ქუჩა... ოი, არაგო, არაგვიანო! მაგრამ თქვენ დააგვიანეთ მშვენიერო ასულა... ბინა უკვე მე ჩავიბარე, უკეთ რომ ესთქვათ, უნდა ჩავიბარო მე ჩემს მეუღლესთან ერთად. გაიცანით ჩემი ცოლი.

7.—მე თქვენ სრულებით არ გვიდებთ ყურს, (პოხას იჭერს და ნაზობს), რადგან ვატყობ თქვენ იდენტური კრეტინი ბრძანებით და შეიძლება ჩიყვიც გაქვთ მაგ პალსტუხს ჭვემ დამალული... ეს ჩემი საქმე არ არის. მე მეინტერესება აქ სახლი № 37, რომელშიც დათმობილი მაქვს ორი ოთახი აბაზანით და საპირფარეოთი!

6.—ახ რასა ბრძანებთ, ნუ თუ? მაგრამ აი, ამ ხალხსაც მგონი იგივე ეინტერესება, რაც თქვენ, მხოლოდ თქვენზე ადრე.. (შემოდინან ისინი, რომლებიც პირველად შემოვიდნენ—1, 2, 3).

—საუცხოო დროს მოვედით, ეტყობათ გადადიან!

4.—ვშიშობ არ შესცდეთ. მგონი პირიქით გახლავთ ყმაწვილო!

7.—მე ვფიქრობ, დროა ოთახი დავათვალიეროთ. (კარზე აკაკუნებს) ერთი გამოგვხედეთ.

8.—(ოთახიდან) ვინ არის ამ დღია ადრიან? რა ამბავია?

7.—ახ, აქ ვილაე უკვე ჩასახლებულა? ეს რას ნიშნავს! გთხოვთ კარი გააღოთ და საშუალება მოგვცეთ საბავი შემოვიწილოთ.

8.—რა თავს იგდებთ. როგორ თუ ჩაქსახლებულვარ? მე აქ ვცხოვრობ 15 წელია. შიბრძანდით!

5.—უკაცრავად! ესე იგი, როგორ თუ ცხავრობთ?

8.—როგორ და ისე, ცოლშვილით.

„...შეცვიელი ჰეგლუნდისა და ნორვეგიელი ტრანშელის მსგავსი ბატონი „სოციალისტების“ მეცადინეობა კი, რომ გაეფუჭებინათ ამ ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, დაკომბილ უნდა იქნას, როგორც მუშათა კლასის იმ უბოროტესი მტრების საქმიანობებიც მოსყიდული არიან უცხოელი კაპიტალისტების მიერ და რომლებიც ლალატობენ თავიანთი ხალხის ინტერესებს.“

ნახ. გ. ისაევისა.

3. 8. იოლოტოვი



— შენ გენაცვალეთ, ჩვენი დიდი ბატონო, შენ რომ არა, უწუშევარი დავრჩებოდით!

3.— (დარბევების კილოთი) დამშვიდდით. დამშვიდდით ჩემო ძვირფასო! ჩვენი საბინაო სამმართველოს უფროსმა უფრო კარგად იცის, თუ სად ცხოვრობ თქვენ ცოლშვილით, ახლა კი ხელს წუ გვიშლით და საშუალება მოგვეცით შემოვსახლდეთ.

8.— მიბრძანდით გეუბნებით!

2.— მე ვერ გამიგია თქვენ უპკულო ხართ, თუ გაიძვერა. მე ვფიქრობ თქვენ უფრო ბრყივი უნდა იყოთ (ყველას) ან თქვენ საიდან მოთრეულხართ, როცა ორდერი გაცემულია ჩემზე!

8.— ილაყბეთ. მე თქვენ ხმასაც არ ვაგვებთ.

2.— ჰო და საშუალება მოგვეცით შემოვსახლდეთ. მე გალანძღვისათვის ბოდრის ვიხდი და ვფიქრობ თქვენ საკმაოდ კულტურული ადამიანი ხართ,—ამ სიტყვის ვერბალური გაგებით.

8.— ჰატ! ვინ არის კულტურული? ვის უწოდებთ თქვენ კულტურული (მიიწევს მუშტებით), გამიშვით, ყბის ძვლებს დავამტრებ ამ წუწქს. ეგ შე მიწოდებს კულტურულს? კულტურულის ხგვამესმის.

2.— ხელი არ გამოწიო.

3.— ხელსაც გამოვსწევ და კეტსაც. ესეც შენ (სდრუზავს თავში ჯოხს)... ახლაც კულტურული ვარ! (კიდევ სდრუზავს) ესეც ვერბალური გაგებით.

2.— უჰ! (თავზე ხელს იტაცებს) ხომ გამიტეხა თხვი ამ ოჯახქორმა... მოიცა! მეორედ არ დამარტყა... შევსცდო. კარგად ვხედავთ რაც ყოფილხართ! უჰ, უჰ! უჰ!...

7.— როგორ არ გრცხვენიათ, ქალს სცემთ! (ქოლვას ურტყამს ხან ერთს ხან მეორეს). ხელი მეთქი! ახ, ღმერთო ჩემო! (გული შეუღონდება).

1.— (მივარდება ქალს, გამმაგებით ჰკოცნის) რა მოგივიდათ? გონს მოდით... (ჰკოცნის) გონს მოდით მეთქი.

7.— ახ, მომეშველეთ! (გადაეხვევა კაცს).

— (მილიცია) დაიშალეთ! (ჩაპბერავს საყვირს, სიწყნარე ჩამოვარდება, ყველა თავმუხვეულია).

— შემოდის საბინაო სამმართველოს უფროსი.

— ამხანაგო შალვა... პატრეცემულო შალვა, ეს რას გავს, მთელი წელია, ბინას მპირდებოდით, მე თქვენ პატრეს გცემდით.

— მე რომ უარი არ მიტევაშს, ორდერი ხომ მიიღეთ.

— ეს პართლაც რას გავს! მე, სერიოზული ქალი, ასე შეუბრალებლად გამასულელეთ.

— მე ხომ უარი არ მიტევაშს, ორდერი ხომ მიიღეთ.

— მე თავი გამიტეხეს ამ ვაკხანალიაში.

— მე ხომ უარი არ მიტევაშს, ორდერი ხომ მიიღეთ.

მუსიკა. ფოქსტროტი. ცეკვავენ. გამოდის კონფერანსიე.

— ძვირფასებო! შემდეგი ნომერი ჩვენი პროგრამისა: თამარა წერეთელი (ოვაცია ხმები: „ბრავო“), რომელიც დღეს თქვენს წინაშე უნდა გამოსულიყო... არ ჩამოსულა. მის მაგივრად თქვენ იხილავთ სერაფიონ ჯინჯიხაძეს.

მაყურებლები მღერიან:

„ახ, ღამე, ღამე,

რისთვის დაგკარგეთ...“

(თენდება, მამლები ყიფიან).

— არიქა სამსახურისაკენ, თორემ დავიგვიანებთ.

— სტაბელო ნომრები გადავბარუნთ და ახალი ორდერებისათვის მივამუროთ საბინაო სამმართველოს.

(ფარდა ნამდვილად იხურება).

ნილაბი აღარ შველის

„ინგლისში მოეწყო სპეციალური რადიოგადამცემი სადგურები ინდოეთისათვის, საიდანაც სწარმოებს „ურანის“ კითხვა და
კონცერტების გადაცემა ინდოელების გულის მოსაგებად“.

„ინდოეთში თანდათან ძლიერდება სახალხო მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ“.

ნახ. გ. ისაევინა.

გაზეთებიდან
კომუნისტი
მარქსიზმი



ბრიტანული ლოკი: გაეგე, გულნაკლულად შეფუძლართ ჩემზე, რას შერჩით, ჩვენ ხომ ერთხანთერნი ვართ?
ინდოეთის ხალხი: მაგ ნილაბს ლილა ვაუხუნდა, მტაცებლურ კბილებს ველარ დავიფარავს.



სიზმარი, როგორც ფსიქიური მოვლენა, დიდხანია იპყრობს მეცნიერების ყურადღებას. პროფ. ბიტნერის ტრაქტოვკის მიხედვით, ადამიანი სიზმარში ხედავს მხოლოდ იმას, რასაც ის რეალობაში განიცდის ან ოდესმე განუცდია. მაგალითად, ლათი სიზმარშიაც ლათიანთ, ეროტომანი ქალებთან გართობით არის გაბრუნებული, გამფლანგველი და ორპირი სიზმარშიაც ამ ცოდვებს ატარებს თავის შერცხვენილი ზურვით და ა. შ.

ეს მოკლე წინასიტყვაობა მისთვის დაგვიჩრდა, რომ სიზმარი, რომელსაც ქვევით მოგიხსნათ, უდავოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული რეალობასთან, იმდენად მჭიდროდ, რომ სიზმარის მნახველს დღემდე ვერ გამოურყვევია—სად თავდება სინამდვილე და საიდან იწყება სიზმარეთი.

როგორც ნიანგდენსაგენტო გადმოგვცემს, ხარაგოულის რაიკოპკევიშის თაემქლომარეს, ჩიკოლოზ მერცხულავას, ამას წინადა უნახავს სიზმარი. არა მგონია მკითხველს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ეს სიზმარი ნამდვილი რეალური ამბების ანარეკლს შეიცავს.

ერთხელ, როდესაც ნიკოლოზს ერთს ლაზათიან ქეიფის შემდეგ თავის ორსაწოლიან სარეცელზე ეძინა, მას გამოეცხადა ნიანგის პიტახში პანჩურ-ბეი, რომელსაც განკითხვის ეტრადი ეჭირა მარჯვენა ხელში. პიტახშის დანახვაზე მერცხულავა შეიშმუნა, სახე დაეშინა და ტანში სიცხე იგრძნო. მან ცხადად განიცადა „ძრწოლა კანისა, შიშთილი იუდასი, მენისტენა დესკორესი და წვა სოდომელთა“. გაქცევა დააძირა, მაგრამ პიტახში პანჩურ-ბეი წინ გადაეღობა და თვალეზე განკითხვის ეტრადი მიადარა. შეეკითხა:

- თქვენი გვარი, მოქალაქე?
- მერცხულავა ვახლავართ, დიდო მსაჯულო!
- რა მოვალეობას ასრულებთ რაიკევიშში?
- რაიკოპკევიშის გამგეობის თაემქლომარეს მეძახიან, მოწყალეო ბატონო.

— როგორ მიმდინარეობს კოოპერაციის მუშაობა თქვენს რაიონში?

— როგორც მოგეხსენებათ, ოი მოწყალეობელი და საწყაული კაცთმოყვარეობისაო, ჩემს აქ მოსვლამდე კოოპერაციის საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა, მას შემდეგ კი, რაც მე თაემქლომარედ დამასკუბეს, ჩარბი წადმა დატრიალდა და საქმენი კოოპერაციისა იყვავდა, ვითარცა წალკოტი ყვავილოვანი უდაბნოსა შინა.

— აწარმოებთ თუ არა ბრძოლას წინააღმდეგ გამფლანგველებისა და შტაცებულებისა?

— ოი მოწყალეობელი! თუმცა მე ბუნებით პაციფისტი ვახლავართ და ბრძოლა არ ეგუება. ჩემს ხასიათს, მაგრამ ხანდახან მაინც მიემართავ ხოლმე ამ საშუალებას. მაგალითად, მამ... გამფლანგველების ხელის შემწყობთ ხშირად სამუშაოზე ვნიშნავ, მოწინააღმდეგეთ კი მამ... სამუშაოდან განთავისუფლებ.

— შეგიძლიათ თუ არა მაგალითი დამისახელოთ?

— როგორ არა! მოლითის კოოპერაციის ბულალტერმა ლაცაბიძემ გამფლანგველ სულაქველიძეს ხელი შეუწყო 24 ათასი მან. გაფლანგვაში, რისთვისაც პროკურატურამ სამუშაოდან მოხსნა და სასამართლოში მისცა. მაგრამ აწ. I/I-დან ბულალტერად მოვაწყვე მოლითის კოოპერაციში. ბულალტერ-ინსტრუქტორი გელაშვილი, რომელიც მუდამ ებრძოდა გამფლანგველებს, სამუშაოდან გავანთავისუფლე, რადგანაც, მოგეხსენებათ, დიდი აკაკის გამოთქმით, „თავისუფლება ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელი“. ამ მხრივ ჩვენ დიდი შოთას ერთგული მიმდევარი ვახლავართ, იმ შოთასი, რომელმაც ვერ კიდევ XII საუკუნეში ბრძანა— „თავისუფლე მონებო“. მაგერში გათავისუფლებულ ადვილზე, როგორც ამას ქრისტეს მცნება მოითხოვს, ჩემი მოყვასი, გიორგიშვილიც დავსვი, რომელმაც თავის საკუთარი ინიციატივით გაფლანგა 4 ათასი მან. და დღეს პატიმრობაში იმყოფება.

— ეხლა მითხარით, —სარეგბლობთ თუ არა კოოპერაციის საქმეზე?

— დაფარული ეშმაკისაო, იტყვიან. მოგახსენებთ, რომ მეც ერთ-ერთი მომხმარებელი ვარ და ვხმარობ კიდევ ყველაფერს შესაძლებლობის ფარგლებში. მაგალითად, ამაწლის I/I-დან I/II-დე, ე. ი. ერთი თვის განმავლობაში, წამოღებული მპქეს 6.000 მან. სამრეწველო საქონელი. გამომცვლელი კომისიის მსხვერპლი ვაგზდებოდი, რომ სახ. ბანკის დირექტორი ა. ვეფხვაძე არ დამხმარებოდა და ჩემს მაგივრად 5.000 მან. არ შეეცანა ჩვენს სალაროში. ენაცვალოს იმას ჩემი თავი, დიდი ძმბბიტობა გამიწია, თუმცა ჩემგანაც ახსოვს პატივისცემა.

— გყავთ თქვენ თანამშრომელი ლოლა შარიაძე თუ არა?

— როგორ არა, დიდო მოწყალეობელი, ის ჩვენი კალკულიატორია და, მართალი მოგახსენით, დიდი გაქანების გოგოცაა. ფასებს ისე არღვევს, რომ არც კი დაფიქრდება. ამის გამო მან 4.000 მან. ზარალი მიაყენა კოოპერაციებს. მიუხედავად პროკურატორის მომართვისა—მისი სამუშაოდან მოხსნის შესახებ, ის მაინც თავის ადვილზე ზის და ძველებურად აჭახრავებს თავის საქმეებს.

— თქვენთან თუ მუშაობდა საწყობის გამგეთ ვინმე ვასიკო ხაიატიშვილი?

— როგორ არა! არც ურიგო მომუშავე იყო, მაგრამ იძულებული ვაგზდები სამსახურიდან მომეხსნა. 8.000 მან. საქონელი მქონდა წამოღებული ნისთათ და კვარტალის ბოლოს ფული მომხოვია. მე მოქნილი კაცი ვარ და ასეთ მოქნილობას მოვიტხოვ ყველა თანამშრომლებსაგან. თვითონ გასაჯეთ—რა საწყობის გამგეა ის გამგე, რომელმაც დირექტორს 8000 მან. საქონელს ვერ „გაქაფვინებს“?

— ხმები დადის, თითქოს თქვენ დამზადების საქონელს, როგორცა კვერცხი, ქათამი, ყველი და სხვ., ანიავებთ, ე. ი. ფლანგავთ. მართალია ეს თუ არა?

— გადაჭრით მოგახსენებთ, რომ მე ფლანგვით არაფერს არ ვფლანგავ. ისე კი, ჩემი ოჯახის საჭიროებებისათვის, როგორც მახსოვს, წადებული მპქეს კვერცხი 2.000 ცალი, ქათამი 50 ცალი, ინდოური 20 ცალი და ყველი 200-დე კილოგრამი. ესაა და ეს. მე მგონია, ამას გაფლანგვას ვერ ვუწოდებთ. გაფლანგვა იქნებოდა—იმდენი წამელი, რომ ვერ მოვრეოდი, მაგრამ თუ წადებულს არ გავაფუჭებ და თავის დროზე შევკვამ, — მე მგონია, ეს გაფლანგვად არ უნდა ჩამეთვალოს.

— თქვენზე ამბობენ, რომ უმეტეს დროს ქეიფში და ღვინის სმაში ატარებთ—მართალია თუ არა?

— ოი, მოწყალეო პიტახში! ვერ დავფარავ და ქეიფი მიყვარს, მიყვარს ისე, როგორც მშობელს თავისი პირში. და ეს, მოგეხსენებათ, არც დასაძრახისია, ვინაიდან რა ქართველია ის ქართველი, რომელიც ღვინოს არ სვამს?! ღვინო, ქალები, დუღუკი—აბა ამას რა სჯობია! მერმე, ალბათ თქვენც გაივონებდით,—ღვინოში თურმე იმდენი ვიტამინებია, რომ ადამიანს ერთიანად მატებს ჯან-ლონეს. ესეც არ იყოს, ღვინოს ვერ ვუღალატებ:—დამეც ვსვამ რაც შემიძლია. არ დამავიწყდება, ამას წინად დათვო „ყვარელიძესთან ვიქეიფე, ცოტა არ იყოს მეტი მომივიდა—ჩაის ჭიქებით ვსვამდი. და აივნიდან გადმოვარდი, ქვას წელი დაკვარი და ორი თვე ლოგინად ჩავარდი. ეხ, სწორედ კარგი რამ არის ქეიფი!.. მარჯვნივ ლოლა, მარცხნივ მარგალიტა, გიტარა და ზედ ლილინი:

„ხარაგოულში ჩავედი, ზორაგი დამხვდა ზორადა, შეგახრამუნე ზორაგი, გავსუფდი ერთი-ორადა...“

სიმღერის გახსენებაზე მერცხულავას უფერად გამოეღვიძა. ოფლში იყო გაწურული. თავში დომხალი იგრძნო.

— ფუი ეშმაკს,—წაბურდლუნა,—ეს რა ცუდი სიზმარი ვნახე!.. ნიანგი... ნიანგი... ცხადში მეზარება და სიზმარშიც არ მასვენებს... დამიფარე, უფალო..

დაიფარავს უფალი მერცხულავას თუ არა?..

საქართველოს
სსრ-ის მოქალაქეებისთვის



—გაზეთში სწერია, ჩენი რადიო მუდმივად ავადმყოფობსო, ხაინტერესოა როგორ შოულობს მუდმივ ბიულეტენს?

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა თ ა კ ო რ ი ა ნ ვ ე ლ შ ი

ჭურჭლდამთავრებული, საექსპლუატაციო დარგის ინჟინერი ამხ. არმირი პოლოსიანი თავის დიპლომითა და მივლინების ქალაქით ამიერკავკასიის ბერძენ სახელმწიფოს რკინიგზის სამმართველოში მივიდა, კადრების განყოფილების უფროსთან ლატიშვიტთან გამოცხადდა და სამუშაოზე გაგზავნა. მოითხოვა. კადრების განყოფილების უფროსმა მას ახედდახედა და ბრძანება დაუწერა.

„ბრძანება № 1

დაინიშნოს საექსპლუატაციო დარგის ინჟინერი არმირ პოლოსიანი მოძრაობის სამსახურში უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე“.

ა. პოლოსიანი, ბებო, იარა თუ ცოტა იარა, მიადგა მოძრაობის სამსახურის უფროსის კარებს, მაგრამ დახეუ ბედს, მას არაფერი არაფერი აკარებს. აქ სამსახურში მოწყობა არ აღმოჩნდა ადვილი, დაკავებული დახედა მას ეს ადგილი. რა თქმა უნდა არ მოეწონა ეს ამბავი და კვლავ კადრების განყოფილებაში ამოქცო თავი.

შესაძებ დღეს კადრების განყოფილება ახალი ბრძანება გამოაცხადა, მაგრამ ამ ბრძანებამაც იგი სამუშაოზე ვერ მოაწყო. ბრძანების შინაარსი ასეთი იყო:

„ბრძანება № 2

დაინიშნოს ამხ. ა. პოლოსიანი რკინიგზის სამმართველოს საფინანსო ნაწილის ინსპექტორად.

მაგრამ რას იზამთ, ესეც დასაჯერია, კაცი ინჟინერია, ხან ფინანსისტად აცხობენ. ხანაც ეკონომისტად—მაგრამ არც აქ გაუმართლდა იმის—ეს ადგილიც დაკავებული დარჩა და ამხ. პოლოსიანი ისევ კადრების განყოფილებაში დაუბრუნდა, სადაც მას გამოუცხვეს ახალი:

„ბრძანება № 3

დაინიშნოს ამხ. ა. პოლოსიანი სატვირთო სამსახურში უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე“.

მაგრამ ვერც № 3 ბრძანებამ გასჭრა, არც აქ აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი.

ამ ამბის შემდეგ მან ისევ კადრების განყოფილების უფროსს მისცა ზრდილობიანი სალაპი, რომელმაც ფიცხლავ მოიმარჯვა კალამი და მეოთხე ბრძანება გამოაცხადა, პოლოსიანი ისევ ეკონომისტად მოაწყო:

„ბრძანება № 4

დაინიშნოს ამხ. პოლოსიანი სააღრიცხვო ნაწილის ეკონომისტად“.

პოლოსიანმა აქაც მიიღო უარი იმისათვის, რომ ინჟინერი ამ სპეციალობიდან იყო წარმდგარი. მაგრამ მან კვლავ იწყო წინსვლა და შესწლო კადრების განყოფილებაში მისვლა.

კადრების განყოფილებაში მას გულმწყურაღად შეხედა მდივანი და მემანქანე. პირველს მოსწყინდა ბრძანებათა შინაარსის ქურნალში შეტანა, მეორეს კი

ბრძანებათა ბეჭდვა და „უნდერვუდზე“ მანიჭურიანი თითების თამაში. მიუხედავად ამისა კვლავ იწერება ბრძანება № 5, რომელიც ლაღადებს:

„დაინიშნოს ამხ. პოლოსიანი საგეგმო განყოფილების კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომისტად“.

ამ განყოფილების უფროსმა ამ ბრძანებიდან ხელი შეიხოცა და ვინაიდან ეს თანამდებობა საჭირო არ იყო იგი, ისევ კადრების განყოფილებას დაულოცა. კადრების განყოფილება ბრძანებათა წერაში უარს როდი ამბობს. კვლავ იწერება:

„ბრძანება № 6

დაინიშნოს ამხ. პოლოსიანი სატვირთო სამსახურში დისპეტჩერ ეკონომისტის თანამდებობაზე“.

აქ კი ასეთი თანამდებობა სულაც არ არის, ამიტომ ამ წერილის გმირი სხვადასხვა კვალიფიკაციაში ვარჯიშობს, არ უნდა შეირცხვიოს პირი. ის ხან საჭმის მწარმოებელს ეხმარება, ხან მემანქანე ნაწილებს უკარნახებს. კაცი პირდაპირ საქმეში დნება, შემდეგ ის გადამწერადაც დგება, მაგრამ არც აზრად გამოვიდა და იგი ისევ კადრებში ამოვიდა. უფროსმა მისვლის მიზეზი ჭიტიხა და არ მოეწონა ეს ამბავი; ა. პოლოსიანს უფრო შორს, ბაქოში უკრა თავი:

„ბრძანება № 7

გაიგზავნოს ამხ. ა. პოლოსიანი რკინიგზის ბაქოს განყოფილების უფროსის განკარგულებაში მისი სამუშაოზე გამოსაყენებლად და ახალ თანამდებობაზე დასაყენებლად“.

ბაქოში ახალმისულმა ინჟინერმა განყოფილების უფროსისაგან ვერც კი მიიღო და ვერც უარი და რადგანაც სიარულში გავიდა სრული დეკადა, მას კი ფულიც არ ჰქონდა რომ სასტუმროსათვის გადაეხადა, ეწვია ისევ თბილისის კადრების განყოფილებას.


და შუბლიდან მან ოფლი მიიხოცა, მაგრამ განცვიფრდა, როცა აქ ახალი ბრძანება ნახა. პოლოსიანის განცვიფრებას ნელარ იკითხავთ, მხოლოდ თუ ამ ბრძანების შინაარსს მკითხველი იკითხავს, ის ასეთია:

„ვინაიდან ა. პოლოსიანი ბაქოში დანიშნულ საათებში არ მივიდა, ჩაითვალოს ეს მოვლენა შრომადლის გაცდენად და მოიხსნას სამუშაოდან“.

ინჟინერი პოლოსიანი ისევ ბაქოში დაბრუნდა, რომ თავის მართლების საბუთი მოეტანა. მან სრულიად იმართლა თავი, მხოლოდ რადიან გაგრძელდა ეს ამბავი, ა. პოლოსიანმა სამუშაოს ძებნაში სრულ 9 თვეს იარა, მასზე გააფორმეს 16 ბრძანება, მაგრამ მისი „შეწყნარება“ არავინ ინება.

აწ შენმა ჩანგალმა განკურნოს ძვირფასო ნინაგო, იმისი იარა.

ქნელოლი




— დედიკო, შეგულია, შენ ჩემი ვედრო დაგიხურავს თავზე, შენს ვედროს ფრთა აქვს მიკერებული.

კინკლაობა ზოოპარკში



— საინტერესოა ვიცოდეთ, რა სახსრებით ირთვება ასე ეს შავბეწვიანი ქალბატონი?

ბულჯიარი



— უკვე ორი თვეა, რაც მე თქვენთან დავიარე და თქვენ კი აქამდე არ გაგიხილავთ ჩემი განცხადება.


— იმიტომ, რომ ქალაქის ნაცნობობას, მე ცოცხალი აღმინას ნაცნობობა მირჩევნია.



— მარჯვედ კითხულობს ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარე თავის მოხსენებას.

— ოღონდაც! ეგ ხომ თავის შარშანდელ მოხსენებას კითხულობს.

ახსოვს



— რა ამბავია, რომ სულ თქვენს შესახებ ლაპარაკობთ?

— მოითმინეთ, ჯი, ახლა, გადავალ ნაყოფანებებზე და მაშინ, სხვების შესახებ ვილაპარაკებ.



ა მ ხ . ნ ი ა ნ გ ო !

სოცურზრუნველყოფის კომისარიატის თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის საინჟინო განყოფილების ინსპექტორ ბ. მიქაძის „სამუშაო“ მაგიდის წინ ხშირად ასეთი სცენა იმართება:

— ბენია შაქვის მისაღები, შეილი, ძლივს მოგაგენით! — ამბობს ერთი მოხუცი.

— თორმეტი დღეა დაგედივარ, ეს საბუთი ასეთი უნდა იყოს? — კითხულობს მეორე.

— დედაშვილობას, შეილო, ჩემი წიგნაკია აქ, როდის დამიბრუნებთ?

— გაიძახის შესამე.

ბენო, როგორც საერთოდ წესადა აქვს, ხმას არ იღებს.

გაჩნდება კუდგარძელი რიგი. ბენო კვლავ თავგაღუნული ზის და ოცნებაში სასახლეებს აშენებს.

— წაგიდეთ, თუ მოგიცადოთ? — გაბედავს ბოლოს რომელიმე გულადი ბენსიონერი.

— დღეს არ მცალიან, ხვალ მობრძანდით. — დარბაისლური ტონით იტყვის ბენო და თუ გინდათ რომ არ აპილიდდეს, თავისი რისხვა არ წამოაფრქვიოს — სიტყვა არ უნდა შეუბრუნოთ.

როდესაც ბენოს ასეთი უხასიათო საქციელის შესახებ საბენსიო განყოფილების გამგეს მიგზარათეთ, გვიპასუხა:

— თავი დანებეთ, ნერვიული კაცია, ავადმყოფია...

ამხანაგო ნიანგო! როგორ დავაჯეროთ სოცურზრუნველყოფის კომისარიატში მოღვაწე ბენოს მფარველი მუშაკები, რომ საბენსიო განყოფილებასა და საავადმყოფოს შორის დიდი განსხვავება უნდა იყოს?

ძველი პენსიონერი

ა მ ხ . ნ ი ა ნ გ ო !

აჭარაში არსებობს საგაქრო კომისარიატი, სახელწოდებით: „აჭარვაჭრობა“. ამ კომისარიატს გახსნილი აქვს მრავალი მაღაზია და ფარდული, რომლებსაც აბრებზე ასეთი „გასაგები“ ქართულით აწერია: „ადფარვაჭრობა. პური“. „აღფარტორგი“, „პორტორგი“, „მისორტორგი“ და სხვ.

გთხოვთ გვიპასუხოთ, ამხ. ნიანგო! მოეთხოვებათ თუ არა, რომ ანბანი მაინც იცოდნენ აჭარის ვაჭრობის მუშაკებმა?

„სორტორგელი“

ა მ ხ . ნ ი ა ნ გ ო !

ქობულეთის სამომხმარებლო კოოპერატივის ბუღალტერმა რამიშვილმა სამსახურში დაიგვიანა 20 წუთით. დაგვიანებულს გამოუძახეს და საყვედური გამოუცხადეს. გაბრაზდა რამიშვილი, ნერვები აიშალა, ილანძლა, იბურტყუნა, გაშმაგებული ღვინოს ეკვთა, ლაზათიანად გამოიბრუნა და სამი კაკალი დღე ზედიზედ გააცდინა.

— რალა ვქნათ, — თქვეს სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის წევრებმა — ოცი წუთით დაიგვიანა, საყვედური გამოუცხადეთ, გაბრაზებულმა სამი კასრი ღვინო გადახუჭა და სამი დღე გააცდინა; რას იზამს რომ სამი დღის გაცდენილათვის უსაყვედუროთ: ხომ სამი თვეს აღარ დაგვენახებდა თვალით და ღვინის ფასსაც ერთი ათად ასწევსო“.

ამხ. ნიანგო, ქობულეთის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის წევრებს შემთხვევით ხომ არაფერი რგებიათ იმ სამი კასრი ღვინოდან?

ეკალი

ა მ ხ . ნ ი ა ნ გ ო !

სოფ. ფოცხოში (ცხაკიას რაიონი) ამ ოთხიოდე წლის წინად დაიწვეს კლუბის მშენებლობა. შენობის საძირკვლის ადგილზე მოზიდეს და დაყარეს: ქვია შა, კირი, აგური, კრამიტი, ხე-ტყე და სხვა ყოველგვარი საშენი მასალა, რაც „არაუშავსრა“ კლუბის აშენებას დასჭირდებოდა. დაყარეს ეს მასალა და ყრიბ თავისთვის: კლუბის აშენებაზე კაცი არ ზრუნავს.

— რატომ არ აშენებთ კლუბს? შეგკითხნენ შარშან კლუბის „მშენებლებს“.

— მასალა გვაკლია. — განაცხადეს მათ.

— როგორ თუ გაკლიათ! სამყოფი აგური ხომ გაქვთ? — გაუმეორეს კითხვა.

— აგური გვაქვს.

— ხე-ტყე?

— ეგაც გვაქვს.

— ქვიშა? კირი? გაჯი? კრამიტი?

— ეგაც გაგვანია

— მაშ რალა გაკლიათ?

— თავი! — დარცხვენით თქვეს „მშენებლებმა“.

დაბეჯითებით გთხოვთ, ამხ. ნიანგო, იწნება თქვენ მაინც უშოვნოთ ერთი გამოსაღებრი თავი ჩვენს „მშენებლებს“.

ა. პეტრულავა

ა მ ხ . ნ ი ა ნ გ ო !

ექვსი თვეა რაც ქალაქ ცხაკიას აბანოს გამგეს ტანი არ დაუბაშია. შეკამაკაცი ბუტყმა და ტალაშმა, ღამის არის ტანი დაიგლოჯოს ქვედატანს შექმნა ბუტყმა.

ხომ არაგინ იცით ამხ. ნიანგო, ასეთი კაცი, რომ აბანოს შერემონტება-შეკეთება შესძლოს და ჩვენი აბანოს გამგე ასეთი გამოუვალი გასაჭირისაგან იხსნას?

ა. ბ-ვა.

ა მ ხ . ნ ი ა ნ გ ო !

„მედსანშრომის“ დასასვენებელმა სახლმა ახალდაბაში იმუშავა 1 ივნისიდან 5 ოქტომბრამდე, ე. ი. 4 თვე და 5 დღე.

დ/ს. მუშაობის გამოკვლევაზე მუშაობს რევიზიები 8 აგვისტოდან დღევანდელ დღემდე, ე. ი. 8 თვე და 10 დღე.

მთლათ იმუშავა 8 სარევიზიო კომისიამ.

ვერც ერთმა კომისიამ ვერ ვერაგითარი დეფექტი ვერ აღმოაჩინა.

ჩვენ გვინტერესებს: 1. რამდენნაან იმუშავებდნენ კომისიები თუ დასასვენებელი სახლი იარსებებდა 5 თვეს და 5 დღეს?

2. რამდენი კომისია იწნებოდა საჭირო ამ შემთხვევაში?

3. ემატება თუ არა კომისიებზე გაწეული ხარჯები დ/ს ხარჯებს?

4. საჭიროა თუ არა გამოიყოს რედაქციიდან კომისია ამ კომისიების დამნიშვნელ პირების მუშაობის გამოსაკრევაად?

ნებაყოფლობითი კომისია

ქუთაისის ზოგირით ქაჩაზში

ნახ. ან. კანდელაკისა



ზოგირით — ახეა „საუცხოვე“ ქუჩებში ხაათში ოცი კილომეტრი კი არა, ოცი მეტრიც რომ გავიარო, იხილ ბარაქელა იქნება.



საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

(ძირულის რ. გ. სადგური)

(სამტრედიის საორთქლმავლო დეპო)

სატრფოვ, შენი წარბ-წამწამი,
შავად ელავს ვაქსივითა,
რას ამიქროლ-ჩამიქროლებ
ამ თბილისის ტაქსივითა?

ლამე, ძირულის სადგურში
ერთი ნაცნობი მელოდა,
კარი შევადე, შევშანდი, —
დარბაზში ისე ბნელოდა,

აქ მუშათა სასაღილოს
მიქაძე ჰყავს მზარეული:
თვალებს ისე აბრიალებს,
როგორც კატა გარეული...

პემანზე გელოდები,
ვებრძვი ფიქრებს — იჭვიანებს,
„სკორი პომოში“ ხომ არ ხარ —
უსაზღვროთ რომ აგვიანებ?

შევედი, ქალმა იკივლა:
„ჭედარ ვეტივით მეტიო,
ესეც აქ შემოგვემატა
ეს წელში გასაწყვეტო“.

მთის ოდენა გული დააქვს,
თუმც თვით გახლავთ დალეული.
მის ნაკეთებ „ბორშის“ ბლომად აქვს
ცხიმის ნაცვლად მწარეული.

უპირობა შეგამჩნიე,
(გული მიცემს უროსავით, —)
არ სრულდება რასაც ამბობ —
(ამინდის ბიუროსავით).

ამ დროს ჰაერის ტალღები
შეირხა ჩუმი შრიალით,
შეიქმნა დოლის ბრახუნი
და გარმონების ჰყრიალი.

მტვერში რომ არ გავსვრილიყავ,
მაგადებზე გავდე ხიდი:
სკამების ქვეშ ტალახი დგას
სამი თვის წინ შენახიდი...

გწერ და პასუხს არ მიბრუნებ,
როგორც ხურდას (არ ვსთქვი ჭორი); —
გენაცვალე, ხომ არ გახდა
შენ ტრამვას კონდუქტორი?...

შემოკრბა დასი ჩხუბში და
ქეიფობაში ქებული,
სინათლის წყაროდ მოქონდათ
ქინელილი მოკიდებული.

იქვე, კასრში წყალი ვნახე
ძველისძველი, მგონი გუბის...
დანაკოვზი არ ყოფნიდათ
გაემართათ დავა, ჩხუბი.

3. 8—ქი

სულ ერთდაგივეს ამბობ,
უცვლელი ხარ მთასავითა, —
რა ძველ ნომრებს იმეორებ
ჩვენი ესტრადასავითა?

თურმე სადგურში არაყი
ჭიქობით იყიდებოდა,
თითომ შეიდ-შვიდი ვადაქკრა,
თუმც აღარ ეჭირვებოდათ.

ბუნარში

ქალაქელი:—დედიჩან, ქათამი: რა ღირს?
დედაკაცი—ხუმრეტი მანეთი, შვილო!..
ქალაქელი—(გასინჯა, მოეწონა) თორმეტ
მანეთს მოგცემ!

შენზე ფიქრი ღარდად მექცა,
შენთვის ვტირა, ცრემლი მდისა, —
ისე, გავხმი და გავთხელდი,
ვით კატლეტი „ნარბიტისა“;

უცბად სადგურის უფროსი
მობრძანდა მორიგიანად;
ამხანაგს ცეკვა უბრძანა,
თითონ ხმს ააწყრილა:—

დედაკაცი—არა, შვილო, ხუმრეტ მანეთს
შაური არ დააკლდება.

მიპასუხე, ლოდინისგან
ფიქრს ნუ დამინავიანებ, —
ჩვენი ფოსტა ხომ არა ხარ,
წერილებს რომ აგვიანებ?

არაყნაყლაპი მორიგე
ფეხის წვერებზე დგებოდა,
იწვევდა, ეზიდებოდა.
შემდეგ ლეკურში ჩაება.

ქალაქელი—ცამეტი მანეთი...
დედაკაცი—არა მეტი, შვილო.

გენაცვალე, მაგ შენს გულთან
გამიწიე პროტექციას!
ვითომ რაო? რომ გახსოვდე,
გაჯავრდება, კოტე ძია?

მაღაყს ვადვიდა ასჯერა...
მოვიწადინე ამ ფაქტის
წინაგისათვის აწერა. —
კლატონ ზუმბაზური

ქალაქელი—აჰა, დიჭი. (ფული მასცა) ძა-
ლა წაიღეთ რაღა... ვა, ეგრე ძვირად რო
ჰყიდი, რაო რა მოხდა? უნივერსიტეტი გა-
თავა?! (შეათამაში ქათამი).

ჩანჩაზირი

დედაკაცი—შვილო, უნივერსიტეტი რომ
გაეთავებინა, შენ წაგყვებოდა?!
პატარა გოგია

ჩვენნი უოსვა

ამბარს (ს. ნავსაკოვო, აბაშის რაიონი)
იწერებით „მათემატიკის - მასწავლებელმა
ვ. კ-ძემ ციფრების გამრავლების ნაცვლად
სამფეხა სკამები გაამრავლაო“. ალბათ ეს
იმიტომ ხდება, რომ მოქალაქე ვ. კ-ძე დარწ-
მუნების სმეთოდის ნაცვლად კეტის ტრიალის
მეთოდს ამჯობინებს. რას იზამთ, კაცია და
განათლების განყოფილება.

მაისში კოლმეურნეობის თორმეტი გოჭი შე-
ჭამა და პასუხს არავინ თხოვსო.

რადგან ჩვენმა დეკანმა არ
დამინიშნა სტიპენდია სრულად.

ქარბუშს (აქვე) თქვენი წერილი ისეთ
უმნიშვნელო ფაქტებს ეხება, რომ მას ქარ-
ბუშის დაყენება მხოლოდ სარედაქციო გო-
ლორში შეუძლია.

ალბათ რაბროკურატურა თორმეტი გო-
ჭის შეჭმის გამო დამნაშაფის პასუხის გებაში
მიცემის საკითხის გამორკვევას 12 თვის
გასვლამდე არ აბრებს. ამ თვალსაზრისით
ასოცი გოჭი რომ შეეჭამა, ხახვივით შერჩე-
ბრდა. ათ წელიწადს დაზღვეული იქნებოდა
პასუხისმგებლობისაგან.

ამ „ბოეტურ გაქანებას“ არ ჩამოუვარდე-
ბა თქვენი პროზით ნაწერი შედეგით: „ამხ.
ნიანგო გთხოვთ გამოაქვეყნოთ. რამენაირათ
ეს ჩემი ელანძე დაწერილი ლექსი“.

გრდემლს (ს. სუხჩე, წულუკიძის რ.)
იწერებით: დავით გელენიძემ გასული წლის

ქორვა მკურნალს (აქვე, მედინსტი-
ტუტი) თქვენი ლექსი ასე იწყება:

ალბათ სრულ სტიპენდიას მიტომ არ გი-
ნიშნავენ, რომ განცხადებებსაც ასეთი „სტი-
ლით“ წერთ. თქვენი ჭირის წამალი ერთია:
უპირველეს ყოვლისა ქართული წერა-კითხვა
უნდა შეისწავლოთ, თუ კი ახლანდელი ცოდ-
ნით უმადლეს სკოლაში მიგიღეს, წერა-კით-
ხვის შესწავლის შემდეგ ალბათ სტიპენდიას
„ელანძე“ დაგინიშნავენ.

ბრველი საგანი ჩავაბარე
ტურფა მიცქერს მაინც მტრულად,

ნიდახელი

ნახ. მ. ლებეშვილისა

დასაფლავების ფრონტზე მუროფი ინგლისელი ჯარისკაცები უსაქმობის გამო ბოსტანს აშენებენ
ბიჭუჭყალი



— კომბოსტო არ გვინდა, ეღუარდ, ძნელი სათრევია, წიწაკას უმარჯვე, მსუბუქია, უკანდახევის დროს ხირბილს გაგვიადვილებს...